ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თამარყალიჩავა

შრომითი მიგრაციის ფემინიზაციის გავლენა საქართველოში მყოფ შვილებზე

სამაგისტრო პროგრამა - სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ლია წულაძე -სოციოლოგიის მიმართულების

ასოცირებული პროფესორი

თსუ, თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ქართველი ქალების შრომითი მიგრაციის ზეგავლენას საქართველოში მყოფ შვილებზე. ქვეყანაში არსებული უმუშევრობისა და მძიმე ეკონომიკური ვითარების ფონზე, ქართველი ემიგრანტი ქალების რაოდენობა კაცების რაოდენობაზე მეტია და ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. ემიგრანტი ქალების დიდი რიცხვი გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ მათი შრომითი მიგრაციის შვილებზე ზეგავლენა.

კვლევა ჩატარდა ქართველ ემიგრანტ ქალებთან, რომლებიც იმყოფებიან საბერძნეთსა და იტალიაში და მათ შვილებთან. ქვეყნები შეირჩა ორი კრიტერიუმის მიხედვით. პირველი, ის რომ ამ ქვეყნებში ქართველი ემიგრანტი ქალების რაოდენობა ყველაზე მეტია და მეორე, საბერძნეთი და იტალია ლიდერობენ ევროკავშირის ქვეყნებს შორის საქართველოში ფულადი გზავნილებით. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რა კავშირია ეკონომიკურ სარგებელსა და სოციალურ დანაკარგებს შორის, რომლებსაც ემიგრანტი დედების შვილები განიცდიან.

როგორც აღმოჩნდა, ქართველი ემიგრანტი ქალები საკმაოდ წარმატებით იყენებენ „ტრანსნაციონალური დედობის“ სტრატეგიებს საკუთარ შვილებთან და ოჯახთან მიმართებით. მათი შვილები კი ცდილობენ, თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებამოახდინონ, რათა მოცემული სარგებელი უკეთესი მომავლის შექმნისაკენ მიმართონ. მიუხედავად დედების ემიგრაციისგან მიღებული სარგებლისა, შვილები დიდ სოციალურ დანაკარგებს განიცდიან, თუმცა, ამ დანაკარგებს რაციონალურად აფასებენ მიღებული სარგებლის ფონზე და ცდილობენ, გაამართლონ დედების ემიგრაცია გარემო ფაქტორების გათვალისწინებით.

რაც შეეხება ქალთა შრომითი მიგრაციისადმი დამოკიდებულებას, რესპონდენტები ძირითადად უარყოფითად აფასებენ და ისურვებდნენ, არ ჰქონოდათ მსგავსი გამოცდილება.

Annotation

My Master's thesis refers to the impact of labor migration of Georgian women on children left behind. Nowadays, on the background of the unemployment and economic situation in the country, the number of Georgian immigrant women is more than the number of immigrant men. The tendency of growing number of immigrant Georgian women is remarkable and gives the impression of certain influences on their children.

The research was conducted with Georgian immigrant women in Greece and Italy and with their children. Countries were selected by two criteria. First, the number of Georgian immigrants in these countries is the highest, and second, Greece and Italy are leading the EU countries with money transfers to Georgia. Hence, it is interesting to know what is the relationship between economic benefits and social losses that the children of immigrant mothers face.

As it turned out, Georgian immigrant women are quite successful using "Transnational Motherhood" strategies in relation to their children and family. Their children are trying to use their capabilities to maximize their benefits in order to create a better future. Despite the benefits from immigrant mothers, children have experienced very important social losses, however, these losses are rationally evaluated by children because of the benefits and they try to justify emigration of mothers considering the environmental factors.

Concerning attitude of migrants to the feminization of labor migration, the respondents are mainly negatively evaluated and they wish they did not have such an experience.

სარჩევი

შესავალი 5

კვლევის მეთოდი 8

კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა 9

კვლევის შეზღუდვები 9

თავი 1. თეორიული მიმოხილვა 11

შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია 11

საქართველოში არსებული სიტუაცია 15

ტრანსნაციონალური დედობა და ტრანსნაციონალურ ოჯახებში მცხოვრები შვილები 19

თავი 2. კვლევის შედეგები 22

ემიგრაციაში წასვლის მიზეზები 22

შვილების მიგრაციის შემდგომი ადაპტაცია 25

ეკონომიკური სარგებელი შვილებისთვის 27

დედებისა და შვილების ურთიერთობა 31

სოციალური დანაკარგები 34

შვილების თვითრეალიზაცია 37

მიგრაციის ფემინიზაციისადმი არსებული დამოკიდებულებები 38

ძირითადი მიგნებები 40

დასკვნა 44

ბიბლიოგრაფია 46

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზეზების გავლენით, შრომითი მიგრაციის ნაკადები მზარდია. მიგრაციის განსაკუთრებულად დიდი ნაკადები ხშირად უკავშირდება მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებებს. პოსტსაბჭოთა საქართველოში არსებული არასტაბილური პოლიტიკური ამინდისა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, გაზრდილმა უმუშევრობამ ქვეყნიდან შრომისუნარიანი მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის გადინება გამოიწვია. თავდაპირველად, საქართველოს მოქალაქეები სამუშაოდ გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ქვეყნებში, რუსეთსა და თურქეთში, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი სხვა განვითარებული ქვეყნების, მათ შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნების,შრომით ბაზრებზეც გავიდნენ. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, 2010 წლისთვის საქართველოდან ემიგრაციაში მილიონზე მეტი ადამიანი იმყოფებოდა.2014 წელს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, 2002 წლის შემდგომ პერიოდში ფიქსირდება 88,5 ათასი ემიგრანტი, მათ შორის 45,4% კაცია, ხოლო 54,6% - ქალი. 39 წლამდე ასაკის ემიგრანტებში კაცები ჭარბობენ, როცა 40 წლის და უფროსი ასაკის ემიგრანტებში ქალების რაოდენობა მეტია. ასევე, 50 წელზე უფროსი ასაკის ემიგრანტებში ქალების რაოდენობა ორჯერ მეტია კაცების რაოდენობაზე.

ქართველი შრომითი მიგრანტების გეოგრაფიული განაწილება გენდერული ნიშნით განსხვავდება. აღწერის შედეგების მიხედვით, რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, საფრანგეთსა და აზერბაიჯანში მყოფი ქართველი ემიგრანტების უმეტესობას კაცები წარმოადგენენ, ხოლო თურქეთში, საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, გერმანისა და აშშ-ში ემიგრანტი ქალები ჭარბობენ. თუ ემიგრანტი კაცები რუსეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში უფრო არიან კონცენტრირებულები, ევროკავშირში ქართველი შრომითი მიგრანტების ნაკადი მკვეთრად

ფემინიზებულია რისი განმაპირობებელი ერთ-ერთი მიზეზიც განვითარებულ ქვეყნებში ქალ მუშახელზე და შინ შრომაზე მზარდიმოთხოვნაა.

ოჯახის წევრის ემიგრაცია, განსაკუთრებით ნაკლებად ინდივიდუალისტური ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ქართული საზოგადოება განსხვავდება მკვეთრად ინდივიდუალისტური დასავლური საზოგადოებებისგან, რადგან იგი ორიენტირებულია კოლექტივისტურ ურთიერთობებზე, სადაც გაფართოებული ოჯახის წევრები აქტიურად არიან ჩართულები ბავშვების აღზრდაში და ოჯახის წევრებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. მსგავსი კულტურული მოცემულობა, ერთი მხრივ, გავლენას ახდენს ოჯახის უმცროსი წევრების სოციალური ურთიერთობების ხარისხზე, მეორე მხრივ კი, ხელს უწყობს დაქორწინებულ ქალებს, ეძებონ სამუშაო საზღვარგარეთ, რადგან ოჯახის სხვა წევრები იღებენ პასუხისმგებლობას ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ზოგადად, მიგრაცია კომპლექსური საკითხია, რომლიც როგორც სარგებლიანობის, ასევე საფრთხის შემცველიცაა. შრომით მიგრანტობას ადამიანები ხშირად ეკონომიკური სარგებლის სანაცვლოდ ირჩევენ.მიგრანტები, უპირველეს ყოვლისა, თავიანთ ქვეყნებს ტოვებენ ოჯახების დახმარების მიზნით, მხოლოდ ფულად გზავნილებს კი, დიდი ალბათობით, არ შეუძლია ყველა სხვა პრობლემის მოგვარება, რასაც მიგრანტები და მათი ოჯახის წევრები ხვდებიან. როდესაც ერთ-ერთი მეუღლე მიგრანტიხდება, მეორე ახალ პასუხისმგებლობებს იძენს; მეტი პასუხისმგებლობები ეკისრებათ ოჯახის სხვა წევრებსაც. ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიგრაციამ შესაძლოა გაზარდოს ოჯახის სხვა წევრების სოციალური მოწყვლადობის რისკი, თუკი გარემო არ იქნება შესაბამისად მომზადებული მიგრაციის თანმდევი ცვლილებებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, მიგრაციას დადებითი ეფექტი ჰქონდეს უამრავი ადამიანისთვის, მისი შედეგები დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე. ისეთი ჯგუფები, როგორებიც ქალები, ბავშვები, ხანდაზმულები და ეთნიკური უმცირესობები არიან, შესაძლოა უფრო მოწყვლადები იყვნენ მიგრაციის

პროცესში. მიგრაცია შეიძლება იმედის მომცემი იყოს ოჯახისთვის, მიგრანტი მშობლების ფულადმა გზავნილებმა შესაძლოა უზრუნველყონ შვილების განათლება, ჯანდაცვა და უკეთესი საცხოვრებელი პირობები, მაგრამ, ამავდროულად, დანაკარგის განცდას იწვევდეს.

იმ მიზეზის გათვალისწინებით, რომ ქალთა შრომითი მიგრაციის უმთავრესი მოტივი ეკონომიკური სარგებლის მიღებაა, ხოლო ეკონომიკური სარგებელთან დაკავშირებულ მოლოდინს ემიგრანტთა მიმღები ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობაგანსაზღვრავს, გადავწყვიტე, ყურადღება გამემახვილებინა ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე, სადაც ქართველი მიგრანტი ქალების რიცხვი შედარებით მაღალია და ზრდადი ტენდენციითხასიათდება.ევროკავშირის ქვეყნებშიქართველი საცხოვრებლისა და სამუშაოს მაძიებელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ოფიციალური მაჩვენებლების მიღმა, რთულია ემიგრანტთა ზუსტი რიცხვის დასახელება, რადგან ბევრი მიგრანტი არალეგალურად ცხოვრობს და მუშაობს უცხო ქვეყანაში.

გამომდინარე იქიდან, რომ ქართველი ემიგრანტი ქალების რიცხვი დიდია და ემიგრაციის შედეგად ქართველ დედა-შვილს შორის ტრადიციულად არსებული, მჭიდრო კავშირებზე გავლენის ალბათობაც დიდია, ჩემი კვლევის მიზანია, ვიკვლიო შრომითი მიგრაციის ფემინიზაციის გავლენა საქართველოში მყოფ შვილებზე.

კვლევის მიზნის მისაღწევად დასმულია შემდეგი ამოცანები:

- რა ეკონომიკური სარგებელი აქვს დედების შრომით მიგრაციას საქართველოში მყოფ შვილებზე;
- რა სოციალურ დანაკარგს დანაკარგს განიცდიან ემიგრანტი დედების შვილები;
- როგორია ეკონომიკური სარგებლისა და სოციალური დანაკარგის ფონზე არსებული დამოკიდებულებები მიგრაციის ფემინიზაციის მიმართ ემიგრანტ დედებსა და მათ შვილებში.

კვლევის მეთოდი

კვლევის მეთოდად შერჩეულია სიღრმისეული ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ. ინტერვიუები ჩატარდა საქართველოში მცხოვრებ 18-25 წლის ახალგაზრდებთან, რომლეთა დედებიც იმყოფებიან ემიგრაციაში 5 წლის ან უფრო დიდი ხნის მანძილზე, რათა მშობლის ემიგრაციით გამოწვეული ზეგავლენა უფრო თვალსაჩინო იყოს, რისთვისაც, ვთვლი, რომ 5 წელი საკმარისი პერიოდია. გამომდინარე იქიდან, რომ ერთიდაიმავე ოჯახის წევრებს შესაძლოა სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებები ჰქონდეთ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, ინტერვიუები ჩავატარე სამიზნე ახალგაზრდების დედებთან, რათა ჩემთვის საინტერესო გავლენები სხვადასხვა თვალსაწიერიდან მეკვლია. შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე, რომლის კრიტერიუმი საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების შემთხვევაში იყო ასაკი, 18-25 წელი. ხოლო, დედების შემთხვევაში, შერჩევის კრიტერიუმებს წარმოადგენდა ემიგრანტად ყოფნის ხანგრძლივობა - არანაკლებ 5 წელი და მიმღები ქვეყანა.

გადავწყვიტე, ყურადღება გამემახვილებინა საბერძნეთსა და იტალიაზე ორი მიზეზის გამო: პირველ რიგში, იმიტომ, რომ საქართველოდან წასული სამუშაოს მაძიებელი ქალების რიცხვიც საბერძნეთსა და იტალიაში გაცილებით მეტია ვიდრე ევროკავშირის სხვა ქვეყნებში. მეორე მიზეზი კი გახლდათ ის, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების მიხედვით, ევროკავშირის ეს ორი ქვეყანა, საბერძნეთი და იტალია ლიდერობს.

კვლევის ფარგლებში, სულ ჩატარდა 20 ინტერვიუ. აქედან 10 საბერძნეთში მყოფ ხუთ მიგრანტ ქალთან და მათ შვილებთან და 10 - იტალიაში მცხოვრებ ხუთ მიგრანტ ქალთან და მათ შვილებთან. ინტერვიუების ხანგრძლივობა შეადგენდა 25-40 წუთს. ემიგრანტებთან ინტერვიუს ჩატარება მოხერხდა ფეისბუქ მესენჯერის მეშვეობით. ინტერვიუების შედეგად მოპოვებული თვისებრივი მონაცემები დამუშავდა პროგრამა NVivo-ს გამოყენებით.

კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა

საქართველო, ტრადიციულად, არ წარმოადგენს მიგრანტი ქალების გამგზავნ ძირითად ქვეყანას, ამიტომაც მიგრანტ ქალებთან მიმართებით სოციალური პოლიტიკის განსაზღვრა სახელმწიფო დონეზე არ ხდება. გამომდინარე იმ მოცემულობიდან, რომ საქართველოდან ქალების შრომითი მიგრაცია პროგრესულ ხასიათს ატარებს, მიმაჩნია, რომ ამ საკითხებით დაინტერესება მნიშვნელოვანია იმ მიზნით, რომ მიგრაციის ფემინიზაციის თანამდევი პრობლემები უფრო ღრმად და თვისებრივად იქნეს შესწავლილი, განსაკუთრებით კი, ემიგრანტი ქალების ოჯახის წევრებსა და შვილებთან მიმართებით. მიგრაციის ფემინიზაციის შვილებზე გავლენის სიღრმისეულად შესწავლა დაეხმარება შესაბამის პრობლემებზე მომუშავე ინსტიტუტებს, ორგანიზაციებსა და სახელმწიფო უწყებებს, შესაბამისი პოლიტიკა შეიმუშავონ, რაც ხელს შეუწყობს ისეთი სოციალური გარემოს შექმნას, სადაც ემიგრანტი მშობლების შვილები ნაკლებად მოწყვლადები და უფრო მომზადებულები იქნებიან შესაძლო ცვლილებებისთვის.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის შერჩევის ფარგლებში ინტერვიუები ჩავატარე ახალგაზრდებთან, რომელთა დედებიც მხოლოდ ორ კონკრეტულ ქვეყანაში, საბერძნეთსა და იტალიაში იმყოფებიან, როგორც შრომითი მიგრანტები. შესაძლოა, უფრო მაღალი ეკონომიკური შემოსავლის მქონე ქვეყნებში, გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი ემიგრანტი ქალების შვილებს სხვაგვარი გამოცდილება ჰქონდეთ, რადგან, მათ მიერ მიღებული ეკონომიკური სარგებელი, სავარაუდოდ, გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს საბერძნეთისა და იტალიის შემთხვევაშია.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო შერჩევისას გაგვეთვალისწინებინა ემიგრანტის მიმღებ ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობა. რესპონდენტებს უნდა ჰქონოდათ ემიგრაციის არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება, რადგანაც შვილებზე გავლენაზე საუბრისას, შეფასების ადეკვატური

საფუძველი გვქონოდა. თუმცა, ქალები, რომლებიც ემიგრაციაში იმყოფებიან 5 წლის და მეტი დროის ფარგლებში, სავარაუდოდ, მეტად არიან ადაპტირებულები გარემოსთან და მათმა შვილებმაც უკვე გადალახეს ის სირთულეები, რაც დედისგანშორს ყოფნას მოჰყვა. შესაბამისად, სოციალურ დანაკარგებზე საუბრისას, ისინი რეტროსპექტულად აფასებენ თავიანთ გამოცდილებას. ამიტომაც შესაძლოა, იმ რესპონდენტების დამოკიდებულებები, რომლებსაც ემიგრაციის ნაკლებპერიოდიანი გამოცდილება აქვთ, განსხვავებული იყოს.

ასევე, აღსანიშნავია, რომ კვლევის შერჩევისას რესპონდენტი შვილების გენდერი არ წარმოადგენდა შერჩევის კრიტერიუმს, შესაბამისად, კვლევაში არ არის გათვალისწინებული ის გამოცდილებები, რაც შეიძლება განსხვავებული ყოფილიყო გენდერული ნიშნით.

თავი 1. თეორიული მიმოხილვა

შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია

შრომითი მიგრაცია მთელი მსოფლიოსთვის კარგად ცნობილი ტრადიციაა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, შრომითი მიგრანტი ქალებისა და კაცების რაოდენობა მსოფლიოში დაახლოებით თანაბარია, თუმცა, ისეთ ქვეყნებში, სადაც შრომითი მიგრანტების რაოდენობა მაღალია, ქალთა მიგრაციის მაჩვენებელი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე კაცების და ზოგიერთ ქვეყანში მიგრანტი ქალების რიცხვი 70-80%-საც კი აღწევს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ILO, 2016). მიგრაციის ამ ტრენდს „მიგრაციის ფემინიზაციას“ უწოდებენ.

მიგრაციის ფემინიზაცია მკვლევრებისთვის შესამჩნევი გახდა 1980-იანი წლებიდან. თუკი მანამდე მიგრაციის ანალიზი ხდებოდა ფინანსური დანახარჯი-სარგებლის ჭრილში, გენდერული განსხვავების შემოტანამ ამ სფეროში მეტი ინტერპრეტაციის საშუალება მისცა მკვლევრებს. კულტურებში არსებული გენდერული ნორმებისა და სქესობრივი უთანასწორობისფაქტორის გამო, მიგრაციის კვლევებმა უფრო მრავალფეროვანი ელფერი შეიძინა.

შრომითი მიგრაცია შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც ინდივიდუალური, ასევე ოჯახისა და სოციალური ფაქტორებით. მკვლევრები სხვადასხვა მიზეზებს გამოყოფენ, რამაც შეიძლება უბიძგოს ქალთა შრომით მიგრაციას:

- ქალთა სიღარიბე, ეკონომიკური კაპიტალის არქონა, ფინანსური საჭიროებები. ამას ადასტურებს ის მოცემულობა, რომ მიგრაციის ნაკადები განსაკუთრებით დიდია განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებული ქვეყნებისკენ, სადაც შრომის ანაზღაურება უფრო მაღალია. ბანგლადეშიდან და შრი-ლანკიდან მიგრაციის კვლევისას, აღმოჩნდა, რომ ღარიბი ქალების წასვლა ემიგრაციაში უფრო მოსალოდნელია ვიდრე ღარიბი კაცების. (Asfar, 2006).
- განათლებისა და კვალიფიკაციის შეუსაბამობა საქმიანობასთან. ხშირად, ქალები უკმაყოფილონი არიან საკუთარი სამსახურით, რაც მიგრაციის ერთ-

ერთი გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს. მაგალითად, მაროკოში ჰერინგის, ერფისა და ვისენის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ემიგრაციაში წასვლის დიდი სურვილი ჰქონდათ ქალებს, რომლებიც მუშაობდნენ, მაგრამ არ იყვნენ კმაყოფილები, რადგანაც ისინი თავს მიიჩნევდნენ უფრო თანამედროვეებად, სხვა კონსერვატიულ მაროკოელ ქალებთან შედარებით. (Heering, Erf & Wissen, 2004).

- გენდერულ ნორმებთან დაკავშირებული მოლოდინები, რაც გულისხმობს, ქალის, როგორც საოჯახო საქმეების შემსრულებლის, აღქმას. აქედან გამომდინარე, ქალების მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი გავლენ საერთაშორისო შრომის ბაზარზე, სადაც საოჯახო საქმიანობით იქნებიან დაკავებულნი. შრი-ლანკაში ჩატარებული კვლევის მიხედვით დაქორწინებული ქალის მიგრაცია უფრო სასურველია, რადგან მარტოხელა ქალის მიგრაციამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მის მომავალ ქორწინებაზე. (Shaw, 2005)
- გენდერთან დაკავშირებული სტრუქტურული უთანასწორობა და დისკრიმინაცია. მაგალითად, ზოგიერთი ქალი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიდან ირჩევს შრომით მიგრაციას, რათა თავი დააღწიოს იძულებით ქორწინებას (Lam &Hoang, 2010).
- სოციალური კავშირები საზღვარგარეთ. ხშირად, საზღვარგარეთ მყოფი ნაცნობები სთავაზობენ ქალებს სამუშაო შესაძლებლობებს ქვეყნის გარეთ. ამასთან, ემიგრანტი ქალების არსებობა მიმღებ ქვეყანაში, სხვა ქალებისთვის მიგრაციას რეალურ შესაძლებლობად წარმოაჩენს. ამას ადასტურებს მაჰლერის მიერ სალვადორში ჩატარებული კვლევა. (Mahler,1999).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიგრანტი ქალების დიდი ნაწილი ჩართულია საოჯახო საქმიანობაში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით, 2011 წელს მსოფლიოში 43,6 მილიონი ქალი იყო დასაქმებული საოჯახო საქმიანობაში. ქვეყნებს, რომელთა დემოგრაფიული მდგომარეობა დაბერების ტენდენციითხასიათდება, უფრო მაღალი მოთხოვნა აქვთ შინ შრომაზე, ბავშვებისა და მოხუცების მოვლაზე. გენდერული როლები კი კარნახობენ ქალებს, აირჩიონ შინ შრომა, რადგან ისინი

უფრო კვალიფიციურად მიიჩნევიან ამ დარგში და მათ არ მოეთხოვებათ გარკვეული ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი. რიგ ქვეყნებში შინ შრომაზე მზარდი მოთხოვნა იწვევს მაღალ მოთხოვნას მიგრანტ ქალებზე, რადგანაც ისინი მიიჩნევიან იაფ მუშახელად. როდესაც დასქამებული ქალები ქირაობენ სხვა ქალებს საოჯახო საქმეებისთვის, თავის მხრივ, ეს ქალები თავიანთ საოჯახო პასუხისმგებლობებს ოჯახის წევრ სხვა ქალებსაბარებენ. ეს ტენდენცია მოიხსენიება, როგორც "Global care chain", ეს ტერმინი პირველად გამოიყენა ჰოჩშილდმა (Hochschild, 2000). გამომდინარე იქიდან, რომ მოვლა და შინ შრომა არ არის ეკონომიკურად ღირებულად შეფასებული, ამ ჯაჭვის ყველაზე დაბალ რგოლში მყოფი ქალის შრომა კომპენსაციის გარეშე რჩება. ეს ჯაჭვი ეყრდნობა გენდერულ როლებს და არ მოიაზრებს მთავრობებისა და დამსაქმებლების ჩართულობას (Petrozziello, 2013). ეს მოვლენა გარკვეული თვალსაზრისით დისკრიმინაციულად მიიჩნევა, რადგანაც დამქირავებელი, როგორც უფრო მაღალშემოსავლიანი ქვეყნის წარმომადგენელი, თავისუფლდება საოჯახო საქმიანობისაგან, განვითარებადი ქვეყნიდან მიგრირებული ქალის ხარჯზე.

შრომითი მიგრაციის უმთავრეს მოტივს, ცხადია, ეკონომიკური სარგებლის მიღების მოლოდინი წარმოადგენს. აღმოჩნდა, რომ გენდერული ნორმები დიდ როლს თამაშობს ფულად გზავნილებთან დაკავშირებულ საკითხშიც. ქალები, მიუხედავად მათი ასაკისა და ოჯახური მდგომარეობისა, მიიჩნევიან უფრო სტაბილურ გადმომრიცხველებად ოჯახის სხვა წევრებისთვის. ზოგადად, ქალები აგზავნიან თავიანთი შემოსავლის უფრო დიდ წილს, ვიდრე კაცები, თუმცა ქალების მიერ გაგზავნილი თანხების მთლიანი რიცხვი შესაძლოა ნაკლები იყოს, მათი დაბალი ანაზღაურების გამო (UNFPA 2006; UNDP 2009).

ტეილორი და მარტინი აღნიშნავენ, რომ ქალთა შემოსავალი მეტად იხარჯება შვილების ჯანმრთელობასა და განათლებაზე. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2005 წლის კვლევა მოლდოვაში ასევე აჩვენებს, რომ მიგრანტი ქალების შემოსავალი უმეტესად გამიზნული იყო ოჯახის საჭიროებებზე, განათლებასა და ჯანდაცვაზე, ხოლო კაცების კი - სახლებსა და მანქანებზე (Morrison, Schiff & Sjoblom, 2008).

ქალთა მიგრაციას შესაძლოა ჰქონდეს დადებითი ეფექტი ოჯახზე, თუმცა ოჯახთან განშორება ხასიათდება სხვადასხვა სირთულეებით, ტელეკომუნიკაციებისა და ინტერნეტის განვითარების მიუხედავად. ქალთა მიგრაციის შემთხვევებში,გასათვალისწინებელია მათი შვილების ასაკიც, ასაკს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს იმაზე, თუ როგორ გაუმკლავდება ბავშვი დედის არყოფნას (Smith, Lalaonde & Johnson, 2004). 2006 წლის UNICEF-ის მიგრანტთა ოჯახების კვლევა მოლდოვაში გვიჩვენებს, რომ მშობლის მიგრაციას შესაძლოა მოყვეს ისეთი შედეგები, როგორებიცაა, ნარკოტიკების მოხმარება, სექსუალური აქტივობა და სკოლიდან გარიცხვა. მსგავსი შედეგები მეტად მაშინ გვხვდება, როდესაც ქალები არიან მიგრანტები (UNICEF,2006).

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიხედვით, გენდერი ახდენს გავლენას მიგრაციის თავისებურებებზე იმ თვალსაზრისით, რომ ქალთა მიგრაციას ადამიანური და სოციალური დანაკარგიახასიათებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი თავიანთ შვილებს ტოვებენ, თუმცა მათი ეკონომიკური აქტივობა და ფულადი გზავნილები დადებით გავლენას ახდენს გამგზავნი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ჯანდაცვის გაუმჯობესებაზე. მიკროეკონომიკურ დონეზე, ფულადი გზავნილები უზრუნველყოფენ ოჯახების ფინანსურ დაცულობას, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოებაში სიღარიბის შემცირებისა და სოციალური განვითარებისთვის. ამასთან, ქალები ითვლებიან უფრო სანდო გამომგზავნებად და მათი გზავნილები პირდაპირ აისახება ოჯახების კეთილდღეობაზე. კაცებთან შედარებით, ქალი მიგრანტები უფრო ხშირად ახორციელებენ ფულად გადარიცხვებს, ეხმარებიან უფრო მეტ ოჯახის წევრს და აგზავნიან თავიანთი შემოსავლის მეტ წილს, რაც მეტად მნიშვნელოვანია კრიზისული ეკონომიკური პერიოდების დროს.

იმისთვის, რომ შრომით მიგრაციაში მყოფმა ქალებმა შეინარჩუნონ თავიანთ ოჯახებთან კონტაქტი და ჰქონდეთ ავტორიტეტული ზეგავლენა შვილებზე, ისინი მიმართავენ სხვადასხვა სტრატეგიებს, რომლებსაც მკვლევრები „ტრანსნაციონალურ დედობას“ ან „დედობას საზღვრებს მიღმა“ უწოდებენ (Schmalzbauer,2004).

ზოგჯერ, მიგრანტ ქალებს წლობით უწევთ ოჯახისგან მოშორებით ცხოვრება, მაგრამ მსგავსი უარყოფითი შედეგებიც კი ხშირად უგულებელყოფილია სხვა სარგებლობის მომტანი ფაქტორების ზეგავლენით. დღესდღეობით, ტრანსნაციონალურ დედებს საშუალება აქვთ, სოციალურ მედიასა და მობილურ ტელეფონებს მიმართონ, თუმცა ხშირად ორივე მხარეს არ აქვს წვდომა მსგავს ტექნოლოგიებზე ან მათი წვდომა შეზღუდულია. სრულყოფილი ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობის შემთხვევაშიც, შესაძლოა შვილებმა თავი აარიდონ დედებთან კონტაქტს და ასე გამოხატონ დეორიენტაცია. მიგრანტი ქალები ხშირად მიმართავენ თავიანთ ნათესავ ქალებს, რათა მათ იზრუნონ ბავშვებზე. არ არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, აზიანებს თუ არა ბავშვებს დედის შრომითი მიგრაცია. შვილები დედის მიგრაციაზე სხვადასხვაგვარად რეაგირებენ მათი ასაკის, ტემპერამენტის, დედასთან ურთიერთობის და პიროვნული თვისებების გამო. დედის არყოფნის პერიოდში, შესაძლოა საოჯახო პასუხისმგებლობები სოციალური ნორმების გამო უფროს ქალიშვილებს დაეკისროთ.

საქართველოში არსებული სიტუაცია

მსოფლიო ბანკისა და გაეროს ეკონომიკისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტის (UNDESA) მიხედვით, ქართველი მიგრანტების გადაადგილების ყველაზე ხშირი მიმართულებას, ყოფილი საბჭოთა ქვეყნების შემდეგ, ევროკავშირის წევრი ქვეყნები წარმოადგენენ. ევროსტატის 2015 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოდან სხვადასხვა მიზნით,გრძელვადიანი პერიოდით წასული მიგრანტთა რიცხვი 2010-დან 2014 წლამდე გაიზარდა.

Table 2.2. **Increasing numbers of Georgian citizens live in the European Union**
Residence permits by reasons for migration (2010-14)

Year	Education reasons	Family reasons	Remunerated activity	Refugee status	Subsidiary protection	Other	Total
2010	3 687	17 114	17 511	1 741	462	12 576	53 091
2011	3 445	19 248	19 131	1 727	440	13 438	57 429
2012	3 967	21 013	17 847	1 856	420	14 950	60 053
2013	4 146	23 949	19 098	1 894	621	16 327	66 035
2014	3 844	15 723	15 892	2 022	629	11 163	49 273

Note: As of October 2015, 2014 data were missing for Greece, Hungary, the Netherlands and Austria.
Source: EuroStat, "Residence permit statistics", *http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Residence_permits_statistics.*

ცხრილი 1. ევროსტატი, ბინადრობის ნებართვის სტატისტიკა, (2015).

საზღვარგარეთიდან შემოსული ფულადი გზავნილები ქართული ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, 2014 წლისთვის იგი მთლიანი შიდა პროდუქტის 12%-ს შეადგენდა. კავკასიის ბარომეტრის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2015 წელს, საქართველოს ოჯახების 16% იღებდა ფულად გზავნილებს საზღვარგარეთ მყოფი ნათესავებისაგან (CRRC, 2015).

ქართველ მიგრანტებს შორის გენდერული განსხვავება ჩანს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ ასპექტებში. მაგალითად, საბერძნეთში ემიგრანტების უმეტესობა ქალია, რადგანაც საბერძნეთის შრომის ბაზარზე შინ შრომაზე არის დიდი მოთხოვნა. 2006 და 2008 წლებში ჩატარებულმა კვლევებმა თიანეთის მუნიციპალიტეტში დაადასტურა, რომ საქართველოდან ემიგრაციაში უფრო ქალები მიდიან, ვიდრე კაცები(IOM, ზურაბიშვილი&ზურაბიშვილი, 2010).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 2017 წლის ნაშრომში აღნიშნულია განსხვავება ქალ და კაც ემიგრანტთა მიერ არჩეულ ქვეყნებს შორის, რომლის მიხედვითაც, ქართველი ემიგრანტი კაცების უმეტესობა რუსეთს არჩევს მასპინძელ ქვეყანად(ემიგრანტთა მთლიანი რაოდენობის 16%), ხოლო ქალების უმრავლესობა ძირითადად - საბერძნეთს, თურქეთსა და იტალიას. (ემიგრანტთა მთლიანი რაოდენობის 64%). კვლევა ჩატარდა კავკასიის ბარომეტრის (CRRC) მიერ.



დიაგრამა 1. კავკასიის ბარომეტრი, 2017

გენდერული ნიშნით განსხვავებულია ქართველი ემიგრანტების ფულადი გზავნილების რაოდენობაც, რომელიც განათლების დონის მიუხედავად (საბაზო, საშუალო, უმაღლესი) უფრო მაღალია ქალების შემთხვევაში, კაცებთან შედარებით.



დიაგრამა 2. კავკასიის ბარომეტრი, 2017

როგორც სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, მიგრაციას საართველოდან საკმაოდ დადებითი ეფექტი აქვს საზოგადოების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინების ხარჯზე უმუშევრობის მაჩვენებელი ქვეყანაში მცირდება; ასევე, ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი ფულადი დახმარებების ხარჯზე, ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების დონე უმჯობესდება. უარყოფითი ფაქტორი გახლავთ ქართველი მიგრანტების დაბალკვალიფიციური სამუშაოები საზღვარგარეთ და ის სიძნელეები, რომლებიც პირველადი სოციალური ჯგუფებისგან მოშორებით ყოფნას ახლავს თან.

2011-2012 წლებში, პოსტსაბჭოთა რეგიონის მაღალი მიგრაციის მაჩვენელის მქონე ორ ქვეყანაში, საქართველოსა და მოლდოვაში, ჩატარდა კვლევა მიგრაციასა და ბავშვთა ჯანმრთელობას შორის კავშირზე (Cebotari, Siegel & Mazzucato). კვლევა მიზნად ისახავდა იმის გარკვევას, თუ რა ზეგავლენა აქვს ბავშვთა ჯანმრთელობაზე 5 ტრანსნაციონალურ მახასიათებელს: მიგრანტთა და დაბრუნებულ მიგრანტთა ოჯახის ტიპები, მშობლების მიგრაცია და მშობლების განქორწინება, დედის/მამის

მიგრაცია და მომვლელის იდენტობა, მიგრაციის ხანგრძლივობა და ფულადი გზავნილები. მიუხედავად ოჯახების ტრანსნაციონალური მოწყობისა, აღმოჩნდა, რომ მიგრანტთა შვილებს აქვთ უკეთესი ან იგივენაირი ჯანმრთელობის მდგომარეობა, როგორც არამიგრანტების ოჯახებში მცხოვრებ ბავშვებს. ორივე ქვეყანაში შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავება, მოლდოველი და ქართველი გოგონები იყვნენ ჯანმრთელობის პრობლემების უფრო მაღალი რისკის ქვეშ, ტრანსნაციონალურ ოჯახებში ცხოვრების პირობებში.

ტრანსნაციონალური დედობა და ტრანსნაციონალურ ოჯახებში მცხოვრები შვილები

თანამედროვე გლობალური ეკონომიკური ბაზარის მიერ ოჯახების მიგრაცია ნაკლებადაა წახალისებული, ამიტომაც საზღვარგარეთ შრომითი მიგრაციის გზას ძირითადად ოჯახის ერთი წევრი ირჩევს ხოლმე, მსგავსი ვითარება უზრუნველყოფს ტრანსნაციონალური ოჯახების გაჩენას. UNICEF-ის მიხედვით, მიგრანტების გამგზავნ ძირითად ქვეყნებში ბავშვების 25%-ს ერთ-ერთი მშობელი მაინც ჰყავს საზღვარგარეთ. შექმნილი სიტუაციის გამო, მკვლევრები ფოკუსირდებიან ოჯახებზე, რომელთა წევრებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ და იმ ეფექტებზე, რასაც ოჯახის ტრანსნაციონალური დაგეგმარება ახდენს ბავშვებზე (Parrenas, 2005; Schmalzbauer, 2008).

რიკარდო კონტრერასი და დევიდ გრიფიტი ცდილობენ, ის გამოწვევები ახსნან, რაც ტრანსნაციონალური დედების წინაშე ჩნდება, როდესაც მიგრანტი დედები ნაწილობრივ არიან ჩართულები შვილების აღზრდაში. შვილებისგან მოშორების გამო, ისინი აღზრდის ტრადიციულისგან განსხვავებულ მეთოდებს მიმართავენ. პირველ რიგში, ისინი ცდილობენ, თავიანთი ოჯახზე ზრუნვის პასუხისმგებლობები სხვა სანდო პირს გადააბარონ. ტრანსნაციონალური დედებისთვის ასეთი პირები უმეტესად შვილების ბებიები, დეიდები და უფროსი დები არიან (Contreras&Griffith, 2012). ამასთან, ტრანსნაციონალური დედები

განიცდიან უკმაყოფილებას საკუთარი დედობრივი მოვალეობების შეუსრულებლობის გამო (Schmalzbauer, 2004). მაშინ, როდესაც მიგრანტი დედები თავს ვერ აიდენტიფიცირებენ ტრადიციული გაგებით დედასთან და იყენებენ სხვა ქალებს, რომლებიც უწევენ მზრუნველობას მათ შვილებს, ამავდროულად, მათ უწევთ ტრადიციულად „ქალური“ სამუშაოების შესრულება საზღვარგარეთ, რაც წარმოშობს გარკვეულ პარადოქსს (Millman, 2013).

თუკი, ქალთა შრომით მიგრაციას განვიხილავთ, მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორიის (Massey, D.S., Arango, J., Hugo, G., Kouaouci, A., Pellegrino, A., and Taylor) ჭრილში, მიგრაციაზე გადაწყვეტილება მიიღება არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ ოჯახური, ჯგუფური გადაწყვეტილებით, რათა მოხდეს მიგრაციისგან მიღებული სარგებლის მაქსიმიზაცია. შესაბამისად, ოჯახიდან ქალის მიგრაციის შემთხვევაში, ოჯახის სხვა წევრები მზად უნდა იყვნენ ახალი პასუხისმგებლობების შესაძენად.

ეკონომიკური ბაზრის გლობალიზაციამ წარმოშვა მაღალი მოთხოვნა დაბალანაზღაურებად ქალ მუშახელზე განვითარებულ ქვეყნებში. დაბალანაზღაურებადი მუშახელის მიწოდება კი ხდება განვითარებადი ქვეყნების შრომის ბაზრებიდან, სადაც ქალები ღარიბ და უმუშევარ ძალას წარმოადგენენ. ფილიპინები არის ერთ-ერთი ქვეყანა, რომელსაც ქალთა შრომითი მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი აქვს. შედეგად, ფილიპინელი ქალები, რომლებიც ეწევიან შინ შრომას ემიგრაციაში, იძულებულები ხდებიან იყვნენ ტრანსნაციონალური დედები. ფილიპინურ ტრანსნაციონალურ ოჯახებზე ჩატარებული კვლევის შედეგად, პარენასი აღნიშნავს, რომ ფილიპინელი ემიგრანტი დედებისა და მათი შვილების ურთიერთობაში სამი მნიშვნელოვანი კონფლიქტი იჩენს თავს. პირველ რიგში, შვილები არ ეთანხმებიან დედებს იმაში, რომ მათ მიერ მიღებული სარგებელი არის სიყვარულის საკმარისი მაჩვენებელი. ისინი აცნობიერებენ, რომ მატერიალური სარგებელი დედასთან დაშორებითაა განპირობებული. მეორე, შვილებს არ ჰგონიათ, რომ მათი დედები აცნობიერებენ იმ მსხვერპლს, რისი გაღებაც ბავშვებს უწევთ. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აფასებენ მიგრანტი დედების მიერ

გამოხატული ზრუნვისა და სიყვარულის მცდელობას, მაინც ეჭვქვეშ აყენებენ ამ გრძნობების ხარისხს. შვილები თვლიან, რომ ოჯახის ერთად ყოფნა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფინანსური უზრუნველყოფის მიღწევა. მეორე მხრივ, ფილიპინელი დედები ტრანსნაციონალური დედობისგან გამოწვეულ შფოთვას, დანაკარგს, მარტოობას, უმწეობასა და დანაშაულის გრძნობას უმკლავდებიან სამი ხერხით: შვილებისადმი სიყვარულის კომოდიფიკაციით, რაც გულისხმობს შვილებისადმი მატერიალური დახმარების მაქსიმიზაციას, ამით მათდამი სიყვარულის ხაზგასმასა და მათთან არყოფნის კომპენსაციას, ემოციური დაძაბულობის დათრგუნვითა და დისტანციის რაციონალიზაციით, რაც გულისხმობს დისტანციის დაძლევის მიზნით შვილებთან კომუნიკაციის ეფექტური გზების შემუშავებასა და რეგულირებას. ყველაზე მეტად კი, ტრანსნაციონალური დედები თავიანთი მიგრაციის გამართლებას ცდილობენ ოჯახისა და შვილებისათვის მოტანილ სარგებელზე ხაზგასმით (Parrenas, 2001).

შესაძლოა ტრანსნაციონალური ოჯახის არსებობამ სულაც არ გამოიწვიოს ოჯახის დეზინტეგრაცია და შესაძლოა იგი ოჯახის წევრების სოციალური მობილობის სტრატეგიას წარმოადგენდეს (Olwig, 2002). განაში, ნიგერიაში და ანგოლაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მშობელთა მიგრაციის ნეგატიური გავლენების არქონა შვილებზე განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: კარგი სავალდებულო საცხოვრებელი პირობები, სტაბილური მზრუნველი, რომელიც სათანადო ყურადღებას მიაქცევს მათ და მშობლებთან აქტიური ურთიერთობა რეგულარული კომუნიკაციით და პირისპირ კონტაქტით (Mazzucatoa,V.,Cebotari,V., Veale, A., White, A., Grassi, M., & Vivet, J., 2015).

თავი 2. კვლევის შედეგები

ემიგრაციაში წასვლის მიზეზები

ჩემი კვლევის რესპონდენტების ერთ ნაწილს წარმოადგენდნენ 40-60 წლის ასაკობრივ ჯგუფში მყოფი ქალები, რომლებიც შრომითი მიგრაციის მიზეზით იტალიასა და საბერძნეთში იმყოფებიან. მათი ემიგრაციაში წასვლის ისტორიები განსხვავებულია, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ემიგრაციის წასვლის მიზეზად ისინი გამოუვალ ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებენ, რასაც იწვევდა უმუშევრობა, არასაკმარისი შემოსავალი, ვალები, მეუღლის არყოლა ან ოჯახის რომელიმე წევრის გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა. ემიგრაციაში წასვლის არც თუ ისე ხშირ, მაგრამ მნიშვნელოვან მიზეზად შეიძლება, ასევე, ოჯახური კონფლიქტები ჩაითვალოს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომელმაც ოჯახური კონფლიქტის გამო გადაწყვიტა ემიგრაციაში წასვლა, ქალთა მიგრაციაში მათი მეუღლეების უპასუხისმგებლობას გაუსვა ხაზი.

ყველა რესპონდენტი ემიგრანტი ქალი მუშაობს დამლაგებლად, მოხუცის ან ავადმყოფის მომვლელად, ძიძად, აგრეთვე მომსახურების სფეროში. მომსახურების სფერო არის ერთადერთი გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც ემიგრანტი ქალი საოჯახო შრომას არ ეწევა. თავიანთი საქმიანობის სფეროს შინამოსამსახურეობით შემოფარგვლას ისინი არასათანადო კვალიფიკაციას, ენის არცოდნასა და მათი პროფესიის გამოუსადეგარობას მიაწერენ. რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ ემიგრაციაში წასვლისას მათ ჰქონდათ იმედი, რომ თავიანთი განათლებისა და კვალიფიკაციის შესაბამისი სამსახურის პოვნას შეძლებდნენ, თუმცა, ეს ასე არ მოხდა.

კითხვაზე, თუ რამ გამოიწვია მათი ემიგრაციაში წასვლა, უმეტესობა ფინანსური საჭიროებებით გამოწვეულ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებს. აქვე ოჯახში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას ისინი პირდაპირ უკავშირებენ შვილების მომავალს. აღნიშნავენ, რომ საქართველოში დარჩენის შემთხვევაში ისინი ვერ შეძლებდნენ იმდენი შემოსავლის მიღებას, რამდენიც საჭირო

იყო მათი შვილების განათლების უზრუნველსაყოფად. ემიგრანტ ქალებს შორის იყვნენ ისეთები, ვისაც საქართველოში ჰქონდა სამსახური და შემოსავალი, ასევე, ისეთებიც ვინც არ იყო დასაქმებული. უმუშევარი ქალები თვლიდნენ, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე მათი ადგილი არ იყო, ხოლო დასაქმებული ქალები ხაზს უსვამდნენ თავიანთი შემოსავლის სიმცირეს. გარდა იმისა, რომ ქალების შრომითი მიგრაციის ძირითად მიზეზს არასაკმარისი შემოსავალი წარმოადგენდა, ისინი ასევე ხაზს უსვამდნენ მათი გადაწყვეტილების მიღების მაპროვოცირებელ ძირითად მიზეზებსაც. ძირითადად, ასეთ მიზეზებს წარმოადგენდა მეუღლის გარდაცვალება, ვალები, ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, საცხოვრებლის არქონა და ა.შ.

*ჩემი მეუღლე გარდაიცვალა. სამსახურს ვერ ვშოულობდი ვერსად. ხან ვაჭრობაც ვცადე, გაუსაძლისი პირობები მქონდა. შვილები მეზრდებოდა, სულ ავად მყავდა ბიჭი. სამკურნალოდ რომ წამეყვანა მაგის საშუალებაც არ მქონდა (*თამრიკო, 47 წლის, საბერძნეთი).

ზოგიერთ შემთხვევაში, დედების ემიგრაციის უმთავრეს მიზეზს შვილები და მათთან დაკავშირებული პრობლემები არ წარმოადგენდნენ, მაგრამ მათი შრომითი მიგრაცია მაინც გულისხმობს შვილებისადმი დახმარების გაწევას. მათ გარკვეული პერიოდის შემდეგ გააცნობიერეს, რომ შვილებისთვისაც შეიძლებოდა გამოსადეგი ყოფილიყო მათი შრომითი მიგრაცია მიუხედავად იმისა, რომ შვილების განათლება და მომავალი არ იყო მათი გადაწყვეტილების მიღების მაპროვოცირებელი. ემიგრანტები აღნიშნავდნენ, რომ შვილების ასაკის მატებასთან ერთად გაჩენილმა საჭიროებებმა გამოიწვია ემიგრაციაში დარჩენა დაგეგმილზე დიდი ვადით, რაც საქართველოდან წასვლის მომენტში არ ჰქონდათ გააზრებული.

*მე ჩემი შვილის გამო არ წამოვსულვარ ემიგრაციაში. ოჯახური პრობლემა გვქონდა , ჩემს მეუღლეს შეემთხვა რაღაც, ჩვენი ბიზნესიც აღარ იყო და იმიტომ წამოვედი. შევაჩერეთ ბიზნესი, მერე წამოვედი აქეთ. ბავშვიც აბიტურიენტი რომ გახდა ცოტა მომზადება სჭირდებოდა, მერე სტუდენტი გახდა. ასე გავიდა წლები (*თამარი, 44 წლის, საბერძნეთი).

რესპონდენტები ხაზს უსვამენ იმ მოცემულობასაც, რომ მიმღებ ქვეყანაში ქალების სოციალური კავშირები გახდა მსგავსი გადაწყვეტილების მიღების მოტივატორიც, რადგანაც მიმღებ ქვეყანაში მყოფმა მეგობრებმა თუ ნათესავებმა შეუქმნეს მათ გარკვეული წარმოდგენები შრომით მიგრაციაზე და ხელშეწყობასაც დაჰპირდნენ. საზღვარგარეთ მყოფი ნაცნობების მეშვეობით მათთვის უფრო მარტივი იყო ინფორმაციის მიღება იქ არსებულ სიტუაციაზე. ქალებისთვის იმედის მომცემი გახლდათ ის გამოცდილება, რაც მათ ახლობლებს ჰქონდათ საზღვარგარეთ.

შვილები, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან, მეტწილად, იზიარებენ ოჯახში არსებულ პოზიციას დედის ემიგრაციასთან დაკავშირებით და გაგებით ეკიდებიან დედის ემიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილებას. მართალია, შვილებისთვის თავდაპირველად რთული იყო დედების სიშორესთან შეგუება. ყველა მათგანი აღნიშნავდა, რომ ისინი არ მოელოდნენ დედასთან ხანგრძლივ განშორებას და არ ჰქონდათ გააზრებული ის ვადები, რა დროითაც სავარაუდოდ მათ დედებს მოუწევდათ ემიგრაციაში ყოფნა.

ჩვენს ოჯახს იმ პერიოდში ჰქონდა ტრაგიკულად მძიმე მდგომარეობა. 2008 წელს ეკონომიკური სიტუაციაც იყო საკმაოდ მძიმე, გამომდინარე ომიდან და სხვა პირობებიდან. ჩვენს ოჯახს უთხრეს რომ არცერთი წევრი არ იმუშავებდა, ასეთი იყო გადაწყვეტილება იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ამას დაემატა ჩვენი პირადი პრობლემები. სამწუხაროდ, დედაჩემს მოუწია მთელი უღლის ტარება, დაკავშირებული ჩვენი სოციოეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან. ყოველთვის ვცდილობდი გამეგო, რომ რადგან დედა მუშაობდა და აგზავნიდა, ის მიმართული იყო ჩვენი პრობლემის მოგვარებისკენ, ეს იყო დიდ თანხასთან დაკავშირებული, რომელსაც ვერსაიდან ვერ მოვიტანდით, ან უნდა გაგვეყიდა ყველაფერი და დავრჩენილიყავით გარეთ (გიორგი, 24 წლის).

შვილების მიგრაციის შემდგომი ადაპტაცია

უცხო გარემოში და უცხო ოჯახებში, ენის ბარიერის პირობებში, მიგრანტი ქალები ბევრ წინააღმდეგობებს ხვდებინ. თუმცა, კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ყურადღებას გავამახვილებ დედის გარეშე დარჩენილი შვილების ადაპტაციაზე. მიგრანტი ქალები აღნიშნავენ, რომ მათი ემიგრაციაში წასვლის დროს, მათ შვილებზე პასუხისმგებლობას ოჯახის სხვა წევრები იღებდნენ და მათ ჰყავდათ ისეთი ადამიანები გვერდით, რომლებიც სათანადო ყურადღებას მიაქცევდნენ. ხშირ შემთხვევაში, ეს ადამიანები არიან ოჯახის წევრი სხვა ქალები, ბავშვების ბებიები, დეიდები ან უფროსი დედმამიშვილები. დედები თვლიან, რომ ოჯახის წევრები, რომლებმაც ასრულებდნენ დედების მოვალეობებს მათი შვილების მიმართ, ზედმიწევნით ართმევდნენ თავს ამ პასუხისმგებლობას. მართალია, დედები განიცდიდნენ შვილებისგან მოშორებით ყოფნას, მაგრამ ისინი თავს უფრო ძლიერებად მიიჩნევენ შვილებთან შედარებით და აღნიშნავენ, რომ მიუხედავად ბევრი სირთულისა და წინააღმდეგობისა, მათ შვილებს უფრო გაუჭირდათ ადაპტაციის პროცესი, ვიდრე თვითონ.

რესპონდენტი შვილებიც დადებითად მოიხსენიებენ ოჯახის სხვა წევრების როლს, რომელიც ეხმარებოდა მათ დედის გარეშე ცხოვრებასთან ადაპტაციაში. ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, ამ ადამიანების წყალობით, მათ მცირეწლოვან ასაკში არ დამატებიათ მათი ასაკისთვის შეუფერებელი საოჯახო საქმეები. საოჯახო საქმეებზე პასუხისმგებლობების აღება მათ უფრო მოზრდილ ასაკში მოუწიათ. რამდენიმე რესპონდენტმა, რომლებსაც უმცროსი დედმამიშვილები ჰყავდათ აღნიშნა, რომ მიუხედავად ოჯახის სხვა წევრის მხრიდან გამოხატული მზრუნველობისა, თვითონაც თვლიდნენ თავს მოვალედ, გარკვეული პასუხისმგებლობა აეღოთ საკუთარი დედმამიშვილების მიმართ და დახმარებოდნენ მათ სწავლასა და თავის მოვლაში.

ასევე აღსანიშნავია, რომ ადაპტაციის ხელშემწყობად რესპონდენტები მიიჩნევენ პირად საზრუნავებს, განათლების პროცესს და მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, რადგან გარკვეული საქმეების კეთება მეტ ყურადღებას მიმართავდა მიზნისკენ და საკუთარ საქმეებზე კონცენტრირება ეხმარებოდა მათ ადაპტაციაში. სკოლაში სწავლის პერიოდში, ისინი ყოველდღიურად დაკავებულები იყვნენ. ასევე თავისუფალ დროს უთმობდნენ სხვადასხვა აქტივობებს, ატარებდნენ მეგობრებთან ერთად და ეს მათ ეხმარებოდა დროის გაყვანასა და დედის ემიგრაციით გამოწვეული სირთულეების გადალახვაში. სკოლის დამთავრების შემდგომ კი მათ უფრო მეტი საზრუნავი გაუჩნდათ.

ჩვენ თავიდანვე ასეთი ცხოვრების სტილს ვიყავით მიჩვეულები, რომ ვპატრონობდით საკუთარ თავს. რომ ვსწავლობდი, მაშინაც არავის არ უწევდა ჩემზე ენერგიის დახარჯვა და დავალებების შემოწმება. ჩემი და-ძმებიც ასეთ სიტუაციაში იყვნენ. ყველას ჰქონდა გააზრებული, რომ ჩვენი კონტრიბუცია გაგვაჩნდა ოჯახში. ყველანაირად ვცდილობდი არ ავცდენილიყავი გზას, მიზნად მქონდა, რომ ჩემს მშობლებს დავხმარებოდი მაქსიმალურად (გიორგი, 24 წლის).

მახსოვს ის დღე , როცა ჩემი მშობლები ორივენი წავიდნენ. სევდიანი ვიყავი, რადგან მამაჩემი მამშვიდებდა, არ იდარდო მალე ჩამოვალთო. ვინერვიულე იმ დღეს. შემდეგ დღეებში სკოლაში რომ წავედი გადამიარა ნელ-ნელა, მაგრამ ის დღე მახსოვს, როგორ განვიცადე, 7 წლის ვიყავი. ვერთობოდი სკოლაში, ბავშვებთან, მაგრამ მონატრების მომენტი სულ თან მდევდა. არ მიფიქრია მაშინ იმაზე თუ რა იქნებოდა მომავალში (თეო, 24 წლის).

დედებიცა და შვილებიც აღნიშნავენ, რომ ადაპტაციის პროცესი დროთა განმავლობაში კარგად წარიმართა, რადგან ორივე მხარე შეეჩვია ემიგრაციით გამოწვეულ მოცემულობას. თუმცა, ადაპტაციის პროცესის გახსენებისას რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ თავდაპირველ ეტაპზე, მათთვის ეს იყო გაურკვევლობის, დაბნეულობის, სტრესისა და ტირილის მდგომარეობა. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ არ იცოდნენ, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მსგავსი მდგომარეობა და ეს უფრო თრგუნავდა მათ, თუმცა ემიგრანტ ქალებს იმედი

ჰქონდათ, რომ მალე დაბრუნდებოდნენ და შვილებსაც ასე ამხნევებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შვილები გაიზარდნენ, რაციონალურად შეაფასეს დედების ემიგრაციაში ყოფნა, დამოუკიდებლად ცხოვრობენ და აღარც საჭიროებენ მშობლების გვერდით ყოფნას, ისინი დღემდე განიცდიან დედის ოჯახში არყოფნას.

*ნელ-ნელა შევეჩვიე, მამაჩემთან რომ მივდიოდი იქაც ვიცოდი უკვე, რომ არ დამხვდებოდა დედა. კი შევეჩვიე, მაგრამ ისეთი შეგრძნებით მაინც ვერ მივდივარ, როგორც დედის იქ ყოფნის დროს მქონდა (*ლიკა, 25 წლის).

ეკონომიკური სარგებელი შვილებისთვის

კვლევის ერთ-ერთი ამოცანიდან გამომდინარე, ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დედების შრომითი მიგრაციის ეკონომიკური სარგებელი შვილებისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ შრომითი მიგრაციის ერთ-ერთ უმთავრეს მოტივს ეკონომიკური სარგებლის მიღება წარმოადგენს, დედების შრომითი მიგრაციის დროს ეს ეკონომიკური სარგებელი შვილებზე და ოჯახზეც ნაწილდება, მეტიც, ხშირ შემთხვევაში, ემიგრანტი ქალების შემოსავალი თითქმის მთლიანად მიმართულია ოჯახსა და შვილებზე, რადგან ისინი საკუთარი თავისთვის მხოლოდ შემოსავლის მინიმალურ ნაწილს მოიხმარდნენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იტალიასა და საბერძნეთში შინ შრომაზე საშუალო ანაზღაურება ემიგრანტებისთვის 800 ევროა და ისინი დროთა განმავლობაში ახერხებენ საკუთარი შემოსავლის ოდნავ გაზრდას ენის სწავლისა და უკეთ ადაპტირების ხარჯზე. ემიგრანტ ქალებს არ აქვთ იმის დრო და შესაძლებლობა, რომ კვალიფიკაცია აიმაღლონ ან ახალი პროფესია შეიძინონ და სხვა სფეროებში დაიწყონ მუშაობა, ამიტომაც ისინი წლობით მუშაობენ ერთსადაიმავე ადგილას. მიუხედავად მსგავსი არასახარბიელო სურათისა, ემიგრანტი ქალების შემოსავალი მაინც დიდ გავლენას ახდენს ოჯახსა და შვილებზე.

ჩემს რესპონდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ემიგრანტი დედების საქართველოში მყოფი შვილების მიერ მიღებულ ეკონომიკური სარგებელი გამოვლინდება შემდეგ მიმართულებებში:

1. განათლება
2. ჯანმრთელობის დაცვა
3. საცხოვრებელი პირობები
4. სოციალური სტატუსი

შრომითი მიგრანტები თითქმის ყველა ინტერვიუში ხაზს უსვამდნენ იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მათთვის შვილების განათლება. უპირველეს ყოვლისა, მათი მიზანი იყო შვილებს ესწავლათ, რათა უკეთესი მომავალი შეექმნათ. გამოკითხული რესპონდენტებიდან თითქმის ყველას ან უკვე მიღებული ჰქონდა უმაღლესი განათლება, ან ჯერაც სტუდენტი იყო. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა ვერ მოახერხა განათლების მიღება ჯანმრთელობის პრობლემების გამო, თუმცა ისიც აპირებდა სამომავლოდ სწავლას. შეიძლება ითქვას, რომ ემიგრანტი დედების შვილები აღმოჩნდნენ ისეთ სიტუაციაში, სადაც მათ განათლების მიღებისთვის სრული ხელშეწყობა ჰქონდათ. სკოლის ასაკიდან მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, მომზადებულიყვნენ სხვადასხვა საგნებში კერძო მასწავლებლებთან. უმაღლეს სასწავლებლებში კი სწავლის გადასახადს და სწავლასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს დედები უზრუნველყოფდნენ. ემიგრანტების შვილებს ჰქონდათ უფრო მეტი შესაძლებლობა სწავლაზე კონცენტრირებულიყვნენ, ვიდრე მათ თანატოლებს. სწორედ შვილებისათვის შექმნილ განათლების სათანადო პირობებს მიიჩნევენ ემიგრანტი ქალები თავიანთ უმთავრეს მიღწევად.

*როცა სტუდენტს არ ადარდებს ელემენტარული ფინანსური პრობლემები, უფრო ვითარდება და მეტ ყურადღებას აქცევს სწავლას (*თამარი, 44 წლის, საბერძნეთი).

*რომ არა დედაჩემი , თბილისში ვერ ვისწავლიდი, რადგან ჩემებს არ უნდოდათ რომ თბილისში წამოვსულიყავი. დედაჩემის მხარდაჭერითა და გვერდში დგომით მოვახერხეთ ის, რომ აქ ჩამოვედი და ის ფაკულტეტი ავირჩიე, რომელიც მინდოდა (*თინა, 24 წლის)

რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვას, მართალია, რესპონდენტების უმეტესობას ამაზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ, რადგან არ იდგნენ მსგავსი პრობლემის წინაშე, მაგრამ იყო შემთხვევა, როდესაც დედის ემიგრაციაში წასვლის

მიზეზიც შვილის ჯანმრთელობას უკავშირდებოდა და საკუთარი შრომითი მიგრაციის მთავარ მიღწევადაც რესპონდენტი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს მიიჩნევდა. ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული პროცედურები ხშირად საკმაოდ დიდ ფინანსებს მოითხოვს და რესპონდენტები ემიგრაციის გარდა სხვა გზას ვერ ხედავდნენ მსგავსი პრობლემების მოგვარებისთვის. ქალების შრომითი მიგრაციის წყალობით ოპერაციების, სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის ხარჯების უზრუნველყოფა შესაძლებელი გახდა ჯანმრთელობის პრობლემების არსებობის შემთხვევაში.

სხვა ემიგრანტმა ქალებმა, რომელთა შვილებსაც არ აწუხებდათ კონკრეტული პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, აღნიშნეს, რომ ხშირად ფინანსურად ეხმარებოდნენ ოჯახის სხვა წევრებს, ხანდაზმულ მშობლებს და ახლობლებს ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაში.

რაც შეეხება საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ეკონომიკურ ძალისხმევას, ჩემი რესპონდენტების ნაწილმა, სწორედ ოჯახის საცხოვრებელი ადგილის არქონის ან მისი დაკარგვის საფრთხის გამო, არჩია შრომითი მიგრანტობა. ამასთან, ისინი ცდილობენ, თავიანთი შემოსავლების ნაწილი მიმართონ არსებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისკენ. ბევრი მათგანი ამჟამადაც იხდის ბინის ფულს და ამ მიზეზითად ვერ ახერხებს ჩამოსვლას. მათ სჭირდებათ გარანტირებული თავშესაფარი და ნორმალური საცხოვრებელი პირობები, რათა კმაყოფილები დაბრუნდნენ ემიგრაციიდან. ემიგრანტი დედები ასევე ცდილობდნენ შვილებისთვის შეექმნათ ნორმალური საცხოვრებელი პირობები სტუდენტობის პერიოდში. რამდენიმე რესპონდენტმა იმას გაუსვა ხაზი, რომ მათი ემიგრაციაში ყოფნა დიდხანს სწორედ ბინისა და სახლის შეძენის გამო გაგრძელდა. ზოგიერთი მომავალში გეგმავს საცხოვრებლის შეძენას და ამიტომ ვარაუდობენ, რომ კიდევ დიდხანს მოუწევთ საზღვარგარეთ მუშაობა.

ჩემი დიდი სურვილია ერთი პატარა ბინის ფული მოვაგროვი, ჩემი ჭერი მქონდეს და ჩემს შვილებთან ვიცხოვრო. აქ დიდხანს დამჭირდება ყოფნა მაგისთვის, ამ პირობებში, ახლა იმას ვფიქრობ გირის ფული მაინც მოვაგროვო (მანანა, 42 წლის, იტალია).

ამდენი წლის მუშაობის მერე ვიყიდეთ ბინა, რომ გვქონოდა ჩვენი თავშესაფარი. ჩვენს შემთხვევაში გამართლდა, რადგან ემიგრაციამ მოგვცა საშუალება გვქონოდა სახლი და მთელი ოჯახი ერთად ვყოფილიყავით დიდი ხნის შემდეგ (ოლიკო, 52 წლის, საბერძნეთი).

როგორც ჩანს, იმ ეკონომიკურმა სარგებელმა, რაც შვილებმა ემიგრანტი დედებისგან მიიღეს, გამოიწვია მათი სოციალური სტატუსის გაზრდა თანატოლების თვალში. მაგალითად, ასეთ სარგებლად მიიჩნეოდა დედების მიერ შვილებისთვის ავტომობილის შეძენა. როგორც რესპონდენტმა შვილებმა აღნიშნეს, მათი დედები ხშირად მატერიალურ დახმარებას სხვადასხვა საჭირო ნივთის ყიდვითა და გაგზავნითაც უწევენ, ასევე დაუგეგმავად გამოჩენილ ხარჯებს უფინანსებენ, რაც საკმაოდ დადებითად არის შეფასებული და მოწონებულია მათი მხრიდან. შვილებისთვის ბევრს ნიშნავს, რომ მათ ბევრი რამე ჰქონდათ და აქვთ, რაც თანატოლებისგან გამოარჩევთ, იქნება ეს განსხვავებული ტანსაცმელი, ტექნიკა, საზღვარგარეთ წასვლის შესაძლებლობა, საკუთარი ფინანსების განკარგვის შესაძლებლობა და ა.შ.

აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ, ხშირ შემთხვევაში, ემიგრანტი ქალების მიერ ოჯახისადმი გაწეული ეკონომიკური დახმარება სულაც არ იწვევს მხოლოდ დადებით შედეგებს. რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ მათ სანაცნობოში ბევრი მიგრანტი ქალის ოჯახის წევრები, უფრო მეტად მეუღლეები და შვილები, არაკეთილსინდისიერად სარგებლობდნენ მიგრანტი ქალის მიერ მიღებული გზავნილებით, რადგანაც ამას მიიჩნევდნენ მათ გარანტირებულ შემოსავლად და თავს ვალდებულად არ თვლიდნენ, დამატებით შემოსავალზე ეზრუნათ ან გზავნილებიდან მიღებული თანხა დადებითი კუთხით მიემართათ. ითქვა, რომ ქალების ემიგრაციამ ოჯახის წევრები გააზარმაცა და ქალები გაწირა სამუდამო

ემიგრაციისათვის, რადგანაც ქალები დაბრუნებას ვეღარ ახერხებდნენ, ოჯახის წევრების მათ გზავნილებზე ზედმეტად დამოკიდებულების გამო. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა ისიც, რომ მისი ძმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში აზარტულ თამაშებზე გახდა დამოკიდებული და დედის მიერ გამოგზავნილ ფულს აზარტულ თამაშებში ხარჯავდა.

დედებისა და შვილების ურთიერთობა

დედების შრომითი მიგრაციის შვილებზე გავლენის შესასწავლად, საჭიროა დავაკვირდეთ მათი ურთიერთობის ხარისხს და ურთიერთდამოკიდებულებას. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ როგორ ართმევენ თავს ქართველი ემიგრანტები „ტრანსნაციონალურ დედობას," რა სტრატეგიებს იყენებდნენ და როგორ გაიზარდნენ მათი შვილები მათი ემიგრაციის პერიოდის განმავლობაში.

კითხვაზე, თუ რა სიხშირით ჰქონდათ კომუნიკაცია ემიგრანტ დედებს შვილებთან, ისინი პასუხობდნენ, რომ წლების წინ დისტანციური კომუნიკაციაც შეზღუდული ჰქონდათ, მაგრამ ამჟამად ტელეფონის, კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენებით, მათთვის შვილებთან კომუნიკაცია ყოველდღიურად იყო ხელმისაწვდომი. ხშირ შემთხვევაში, თავიანთი კომუნიკაციის სიხშირეს ისინი გადამეტებულსაც უწოდებდნენ. თუმცა, მიუხედავად კომუნიკაციის სიხშირისა, არც დედები და არც შვილები თვლიდნენ, რომ დისტანციური კომუნიკაცია საკმარისი იყო სრულყოფილი დედაშვილური ურთიერთობებისთვის. შვილები აღნიშნავდნენ, რომ კომუნიკაცია და მორალური მხარდაჭერა დააკლდათ მაშინ, როდესაც უფრო პატარები იყვნენ და ზრდასრულ ასაკში თავისუფალი კომუნიკაციის შესაძლებლობა დედასთან ვერ აანაზღაურებდა დაკარგულ დროს. რესპონდენტი დედები ამბობენ, რომ ამჟამად ყოველდღიური და ინტენსიური კომუნიკაცია აქვთ შვილებთან. რადგანაც მათი შვილები უკვე ზრდასრულები არიან, მათ შორის საიდუმლოებები ნაკლებადაა და ერთმანეთს რჩევებს ეკითხებიან ოჯახთან, მომავალთან, კარიერასთან და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით. უფრო ხშირად დედები

შვილების ყოველდღიურობით ინტერესდებიან და ცდილობენ გაიგონ თუ რას საქმიანობენ, ვისთან აქვთ ურთიერთობები და როგორ განკარგავენ დროს მათი შვილები. დედებმა აღნიშნეს, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობენ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეთ შვილებთან, ამჩნევენ საკუთარი შვილების ჩაკეტილობას და ნაკლებად გახსნილობას მათთან ურთიერთობაში.

თავის მხრივ, შვილები აღნიშნავდნენ, რომ მიუხედავად მეგობრული დამოკიდებულებებისა დედების მიმართ ისინი ცდილობდნენ რაღაცები დაემალონ, რაზეც შეიძლება დედებმა ინერვიულონ. ისინი უფრო ჯანმრთელობასთან, პირად ცხოვრებასთან და ოჯახის წევრების პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე არ საუბრობდნენ დედებთან. თუმცა, შვილები თვლიან, რომ მათ დედებს ძალიან ბევრი ინფორმაცია აქვთ შვილების ყოველდღიურობაზე და ცდილობენ კონტროლსაც დღეში რამდენჯერმე ზარების განხორციელებით. შვილებისთვის ხშირად მსგავსი კომუნიკაცია დამღლელი და გამაღიზიანებელიც კი არის.

*ჩვენი დილა იწყება ერთად, ვამოწმებ თუ არის ონლაინ და თუ არ არის , ვურეკავ, რომ არ ჩაეძინოს დილით. ტრადიციასავით გვაქვს, ყოველ დილით სელფის გამოგზავნას ვთხოვ, რომ ვნახო როგორ გადის სახლიდან, ეს მაცოცხლებს. შეძლებისდაგვარად, ყველაფერზე ვესაუბრები. გახსნილი არის, მაგრამ რაღაც მაინც აკლია, და მე ვფიქრობ რომ დედასთან დაშორების წლები თამაშობს ძალიან დიდ როლს (*თამარი, 44 წლის, საბერძნეთი).

*საერთოდ ყველაფერზე ვესაუბრები, არაფერს არ ვუმალავ. ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. უფრო მედაქალება. ჩემს ძმასთან სხვანაირადაა სიტუაცია, სულ ხომ ინტერნეტით ჰქონდა კონტაქტი და ახლა გაიზარდა, დედა იქედან რამე მოსაფერებელ სიტყვას რომ ეტყვის ეს უთიშავს და ბლოკავს, არ სიამოვნებს ამ მოსაფერებელ სიტყვებს რომ ეუბნება (*მელანო, 23 წლის).

ის ქალები, რომლებსაც ლეგალური დოკუმენტები აქვთ და საქართველოში ჩამოსვლას ახერხებენ წელიწადში ერთხელ მაინც, თვლიან, რომ შვილები ნაკლებად განიცდიან მათ სიშორეს. რესპონდენტები, რომლებიც არალეგალური მიგრანტობის გამო ვერ ახერხებენ საქართველოში ჩამოსვლას, უფრო ემოციურად საუბრობდნენ

შვილებზე და მათ პირველ შეხვედრაზე წლების შემდეგ. ანალოგიური დამოკიდებულება შეინიშნებოდა შვილების მხრიდანაც. ჩემს შერჩევაში არ იყო ისეთი რესპონდენტი, რომელსაც ერთხელ მაინც არ უნახავს დედა ემიგრაციაში ყოფნის მანძილზე. მიუხედავად ყოველდღიური კომუნიკაციისა, დედებმა და შვილებმა აღნიშნეს, რომ პირადად შეხვედრისას მაინც დიდი იყო განსხვავება იმისგან, რასაც მოელოდნენ. რესპონდენტები ყვებოდნენ, რომ განსაკუთრებით დიდხნიანი პაუზის შემდეგ, პირველი შეხვედრისას, მათ არ იცოდნენ, როგორ უნდა მოქცეოდნენ ერთმანეთს, დედები განიცდიდნენ უხერხულობას ფიზიკური სიახლოვის გამო, რადგან არ იცოდნენ თუ როგორი რეაქცია ექნებოდათ მათ შვილებს და გარკვეული დრო დასჭირდათ ერთმანეთის აღსაქმელად. შვილები ყვებოდნენ, რომ პირველი შეხვედრისას აკვირდებოდნენ ცვლილებებს, ჰქონდათ განცდა, რომ მათი დედები შეცვლილები იყვნენ და შებოჭილად გრძნობდნენ თავს თავდაპირველ ეტაპზე. შვილები ნერვიულობდნენ შეხვედრამდე, რადგან ეშინოდათ მოსალოდნელი ცვლილებების წინაშე დადგომის. ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ დედასთან სტუმრობისა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ უფრო მშვიდად იგრძნეს თავი, რადგან საკუთარი თვალით ნახეს თუ როგორ პირობებში ცხოვრობდა და მუშაობდა დედა.

ჩვენი შეხვედრა წარმომედგინა რომ უფრო ემოციური იქნებოდა, არ იყო ეგეთი, მეგონა ტირილს დავიწყებდი, მაგრამ უფრო შოკი იყო, ამდენი წლის მერე რომ დავინახე დედაჩემი ცოცხლად და იმან მე, უცებ ორივე დავიშოკეთ. ვერ გავიაზრეთ რა უნდა გვექნა, ეს იყო მშრალი შეხვედრა, ზედმეტი ხვევნა-კოცნისა და ცრემლების გარეშე (თინა, 24 წლის)

ამ დისტანციურ კონტაქტში მეგონა, რომ არაფერი შეცვლილა და ყველაფერი ისევ ისე იყო, მაგრამ როდესაც ამდენი წლის მერე უნდა მენახა, მეშინოდა. ვნერვიულობდი იმაზე, შეცვლილი იქნებოდა თუ არა, სხვანაირი დამოკიდებულება ექნებოდა თუ არა.რაღაცეები იყო კიდეც შეცვლილი, პირველ რიგში, რომ დავინახე, დაბერებული მომეჩვენა.რაღაცნაირად სუსტი, უსუსური მომეჩვენა, უცხო ქვეყანაში

*მარტო რომ იყო. მერე სახლში და ურთიერთობაში შევატყვე , რომ ისევ ისეთი დედა იყო და იქედან დასევდიანებული არ წამოვსულვარ (*ლიკა, 25 წლის).

სოციალური დანაკარგები

მნიშვნელოვანია, ქალთა შრომითი მიგრაციის დადებით ეფექტებთან ერთად, ყურადღება გამახვილდეს იმ სირთულეებზეც, რომლებიც მათ მიგრაციას ახლავს თან. ამ შემთხვევაში, კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, მინდა ყურადღება გავამახვილო იმ სოციალურ დანაკარგებზე, რაც ემიგრანტი დედების შვილებმა განიცადეს.

როგორც აღმოჩნდა, დედების ემიგრაციით გამოწვეული სოციალური დანაკარგები არცთუ ისე მცირეა შვილებისათვის და ჩემი რესპონდენტებისგან მიღებული პასუხების შედეგად, შემიძლია დავასკვნა, რომ შრომით მიგრაციაში ჩართული ქალების შვილები სოციალურ დანაკარგს განიცდიან სოციალური ურთიერთობების სამ დონეზე.

1. პერსონალურ დონეზე, დედისა და შვილის ურთიერთობაში, რომელიც მოიაზრებს სოციალურ დანაკარგს დედასთან მიმართებაში. გულისხმობს გაუცხოებას დედის მიმართ და ჩაკეტილობას, მორალური მხარდაჭერის ნაკლებობის განცდას.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა რესპონდენტს ყოველდღიური, აქტიური დისტანციური კომუნიკაცია ჰქონდა დედასთან, ბევრი მათგანი მაინც თვლიდა, რომ დედასთან ურთიერთობაში რაღაც გაცივდა.

*ბევრჯერ მიგვრძნია, მაგალითად მინდოდა აზრი მეკითხა და მერჩივნა პირადად მეკითხა, ვიდრე ზარით. სიყვარული და ურთიერთობა ცოტა გაცივდა.ასე შეიძლება ითქვას, ყოველდღიურად რომ არ მაქვს შეხება და ვერ ველაპარაკები იმდენად, რაღაც სიშორეა მაინც (*ალექსანდრე, 21 წლის).

რესპონდენტები ასევე აღნიშნავდნენ, რომ მნიშვნელოვან მომენტებში განიცდიდნენ დედის არყოფნას, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა თავს შეუძლოდ გრძნობდნენ ან ბევრი საქმე ჰქონდათ გასაკეთებელი. თავის მხრივ, ემიგრანტი ქალებიც განიცდიდნენ გულისტკივილს იმის გამო, რომ შვილების ცხოვრებაში ისეთი განსაკუთრებული მომენტები გამოტოვეს, როგორიცაა დაბადების დღეები, დღესასწაულები, სკოლის დამთავრება, უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება, დაოჯახება და ა.შ.

2. პირველადი სოციალური ჯგუფის დონეზე, როგორც ჩანს, დედის ემიგრაციას გარკვეული ცვლილებები შეაქვს შვილისა და ოჯახის სხვა წევრების ურთიერთობაშიც. ხშირად, ეს გულისხმობს ოჯახის წევრებთან კონფლიქტს.

მიგრანტების შვილები გამოხატავდნენ, რომ დედის გარეშე ოჯახში არ იყო ჩვეული განწყობა. ასევე, ზოგიერთი ოჯახის წევრის როლი შეიცვალა იმით, რომ მათ პასუხისმგებლობები დაემატათ. გოგონების შემთხვევაში, ხშირი იყო საოჯახო საქმეების კეთების საკუთარ თავზე აღება, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ართმევდა მათ იმ დროს, რომელიც მეგობრებთან ერთად უნდა გაეტარებინათ. შვილებმა ახსენეს მამასთან კონფლიქტიც, რომელიც ადანაშაულებდა მათ დედის არყოფნაში და ხშირად ეკამათებოდა შვილებს. ზოგმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ მამა მოითხოვდა მათგან აეღოთ ოჯახურ ვალდებულებებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები და ხშირად შენიშვნებს აძლევდა მათ, ასევე მეტად აკონტროლებდა მათ ნაბიჯებს. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ დედის ემიგრაციის გამო ის გადაჩვეული იყო ოჯახურ სიტუაციებს და საკუთარი მეუღლის მშობლებთან უჭირდა დროის გატარება, უხერხულობას და დაძაბულობას გრძნობდა მათთან სადილობის დროსაც კი.

ის რომ აქ არ იყო, ბევრი რაღაც ჩემზე გადმოვიდა, სახლის საქმეები, და ამის გამო რთული სტუდენტობა მქონდა, ამან მოახდინა ზეგავლენა. მართალია, ვიცი რომ ოჯახის გამო წავიდა და ეს დაეხმარა ოჯახს და მეც, მაგრამ ეს საოჯახო საქმეები ნაადრევად რომ გადმოდის შენზე მაინც რთულია. მამაჩემი თავისებურია, უნდოდა ყველაფერი მწყობრში ყოფილიყო, მაგასთან დაკავშირებით კონფლიქტი გვქონდა.

*დედაჩემის უშუალო დანაშაული ეგ არ არის, მაგრამ რომ წავიდა ასე გამოვიდა. ოჯახში უფრო იყო დაძაბულობები, რადგან გვიწევდა შინამეურნეობაში რაღაც საქმეების გაკეთება, რადგან ყველა თავისებურად უდგებოდა (*თეო, 24 წლის).

*ოჯახში ცუდი მდგომარეობა გვაქვს, მამა სვამს. მე და ჩემს ძმას ხან სახლიდან გვაგდებს. მადანაშაულებს ოჯახის დანგრევაში, რადგან ჰგონია მე ვეუბნები ყველაფერს დედას მასზე, არადა თვითონ ურეკავს როცა სვამს და ჩემი თქმა არ სჭირდება დედას, მეც ვცდილობ წვრილმანებზე არ ვანერვიულო (*მარიკო, 20 წლის).

3. საზოგადოებრივ დონეზე, როდესაც შვილები გრძნობენ გარშემომყოფების კონტროლს, რადგან დედების არყოფნის გამო თავს სტიგმატიზირებულებად გრძნობენ.

ემიგრანტი ქალების ინტერვიუებში არ იკვეთება ისეთი განწყობები, სადაც ისინი გარშემომყოფების აზრის გამო თავს ცუდად გრძნობენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ფაქტორი უფრო მნიშვნელოვანი არის მათი შვილებისთვის. ზოგიერთი შვილი ფიქრობდა, რომ ახლობლები და ნაცნობები მათ დედასაც უარყოფითად მოიხსენიებდნენ საზღვარგარეთ წასვლის გამო. თვითონ შვილები კი დათრგუნულად და შებოჭილად გრძნობდნენ თავს, რადგანაც მათი ნებისმიერი სოციალურად არასასურველი ქმედება, დედის ყურადღების ნაკლებობას მიეწერებოდა.

*სულ ის მომენტი მქონდა რომ რაღაც არ უნდა დამეშავებინა, მშობლებისგან მქონდა გამჯდარი, რომ სულ კარგად უნდა მოვქცეულიყავი, მერე ძალიან ვნერვიულობდი თუ რაიმეს დავაშავებდი. ახლა რომ ვაკვირდები, ძალიან ოფიციალურში გადადიოდა ჩვენი ურთიერთობა. მაგალითად, არ უნდა გავპარულიყავი სკოლიდან, მესმის რომ დედაჩემს უნდოდა კარგი მოსწავლე ვყოფილიყავი, კარგი მოსწრება მქონოდა, მაგრამ შებოჭილი ვიყავი ამის გამო (*თეო, 24 წლის).

სულ ვცდილობდი ჩემი ქცევების კორექციას, რომ ვინმესთვის არ ვყოფილიყავი საჩვენებელი, რომ არ ეთქვათ, წავიდა დედამისი და თავაშვებულად ცხოვრობსო (გიორგი, 24 წლის).

შვილების თვითრეალიზაცია

გამომდინარე იქიდან, რომ ქალებმა შრომითი მიგრაციის გადაწყვეტილება თავიანთი შვილების უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის მიზნითმიიღეს, საინტერესოა, სრულდება თუ არა ის მიზანი, რომლის მისაღწევადაც ქალები უცხო ქვეყანაში წლობით შრომას ირჩევენ. ამ მხრივ, მიღებული შედეგები ინდივიდუალურია. წარმატებული მომავალი რთულად განსასაზღვრი ცნებაა. ასევე წარმატებაზე არა მხოლოდ ფინანსური და მორალური მხარდაჭერა ახდენს ზეგავლენას, არამედ სხვა გარე ფაქტორებიც.ამ შემთხვევაში, წარმატებულ მომავალში იგულისხმება მაღალი აკადემიური მოსწრება, მაღალი შემოსავლით უზრუნველყოფილი სამსახური და კარიერული წარმატება. რესპონდენტმა დედებმაც და შვილებმაც აღნიშნეს, რომ ემიგრანტ დედებს ჰქონდათ გარკვეული მოლოდინები შვილებთან დაკავშირებით, რის გამართლებასაც შვილები ცდილობდნენ. ბევრმა რესპონდენტმა შვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ დამოუკიდებელ და მიზანდასახულ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ. ის უნარები, რაც მათ დედის ემიგრაციის პროცესში შეიძინეს, გამოსადეგი არის მათ კარიერაშიც, სამსახურშიც, ყოველდღიურ ცხოვრებასა და ხალხთან ურთიერთობაშიც.

ჩემი შვილებისთვის კარგი ის იყო, რომ უფრო მოინდომეს, რადგან არ უნდოდათ ემიგრანტი დედისთვის გული ეტკინათ და ჩემს ხარჯზე არაფრის მაქნისები ყოფილიყვნენ. ამ მხრივ მოინდომეს, შრომა არ ეზარებათ (ლანა, 53 წლის, საბერძნეთი).

დედაჩემი რომ აქ ყოფილიყო ვიქნებოდი თუ არა ასეთი მობილიზებული, როგორიც ახლა, თუ რადგან წავიდა მაგიტომ გავხდი მობილიზებული?! მე ვფიქრობ რადგან წავიდა, მაგიტომ ვარ უფრო მობილიზებული. შეიძლება აქ რომ ყოფილიყო ასეთი

სწრაფი და დიდი ნაბიჯებით არ მევლო, შეიძლება უფრო მოდუნებული ვყოფილიყავი, იქ რადგან არის მოდუნების საშუალებას არ ვაძლევ ჩემს თავს შეიძლება ითქვას (თინა, 24 წლის).

რასაკვირველია, შვილებმა ყველა შემთხვევაში ვერ მოახერხეს სრულფასოვნად რეალიზება. ხშირ შემთხვევაში, სწავლის დასრულებას არ მოჰყოლია საკუთარი პროფესიით დასაქმების შესაძლებლობა და ზოგიერთ შემთხვევაში, რესპონდენტებს ჰქონდათ განცდა, რომ საკუთარ შესაძლებლობების რეალიზება ვერ მოახერხეს სხვადასხვა გარემოფაქტორების გამო.

მიგრაციის ფემინიზაციისადმი არსებული დამოკიდებულებები

მიგრაციის ფემინიზაციისადმი არსებული დამოკიდებულებები რესპონდენტებს შორის არაერთგვაროვანი იყო. თავიანთ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რესპონდენტებს უჭირდათ, მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოეხატათ მიგრაციის ფემინიზაციის ფენომენისადმი, თუმცა ზოგადად აღნიშნავდნენ, რომ ქალებს არ უნდა უწევდეთ ლუკმაპურის საშოვნელად ამხელა მსხვერპლზე წასვლა. ზოგიერთი მიგრანტი ქალი თავის შეფასებებში კმაყოფილებასა და მადლიერებას გამოხატავდა მიმღები ქვეყნის მიმართ იმ შესაძლებლობისთვის, რაც მათ მიეცათ, თუმცა ზოგი მათგანი იხსენებდა იმ რთულ გზას, რაც ემიგრაციის ადრეულ ეტაპზე გაიარეს და არ აფიქსირებდა დადებით დამოკიდებულებას საკუთარი გადაწყვეტილებისადმი. შვილების უმეტესობა უარყოფითად იყო განწყობილი დედის მიგრაციის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სიტუაციურად ამართლებდნენ თავიანთი დედების გადაწყვეტილებებს. ისინი ხშირად ახსენებდნენ, რომ უნდოდათ დედების საქართველოში დაბრუნება. რამდენიმე რესპონდენტმა გამოხატა პოზიტიური დამოკიდებულებაც.

ზოგადად, ჩემთვის უსაქმურ ადამიანზე უარესი არაფერია. ამიტომ პოზიტუირი დამოკიდებულება მაქვს. მესმის ის ყველაფერი, თუ როგორ უჭირთ და როგორი რთულია მათთვის, მაგრამ შვილის მიმართ პასუხისმგებლობას რომ იღებ, რაღაც

მინიმალური პირობები უნდა შეუქმნა. ზუსტად იგივეს გავეკეთებდი მეც და თუ დამჭირდა გავაკეთებ კიდეც აუცილებლად (ანა, 24 წლის).

მგონია, რომ ეს დიდი მსხვერპლია, ხანდახან ვფიქრობ ჩვენ იმდენად არ გვაკლდა დედა, რამდენადაც შეიძლება დედას აკლდა ჩვენთან ყოფნა (ირაკლი, 23 წლის).

ჩვენს საზოგადოებაში ემიგრაციასთან დაკავშირებული განათლებაც კარგი იქნებოდა, ჩვენ გვჭირდება ცოდნა, რომ ემიგრაცია არ არის ერთადერთი გამოსავალი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. დღეს ყოველი მეორე ადამიანი მიდის ემიგრაციაში და არალეგალურად იწყებს ცხოვრებას.ცუდად ვიყენებთ ვიზალიბერალიზაციასაც, ამაზე კარგადაა სამუშაო.დაცლილია მთელი ქვეყანა.მგონია რომ სახელმწიფოც კარგად იყენებს დედაჩემის და ემიგრანტების შრომას, რადგან ეკონომიკურად მათზე ვართ დამოკიდებულები. მიგრაციის პოლიტიკაზე არის სამუშაო, ალბათ სახელმწიფო სარგებელს ხედავს ამით და ამიტომაა გაჩერებული (გიორგი, 24 წლის).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიგრაციის ფემინიზაციისადმი უარყოფითი განწყობის მიუხედავად, მიგრანტი ქალების შვილები ცდილობენ, ახსნან და გაამართლონ მათი დედების წინაშე არსებული სიტუაცია, რამაც მათი ემიგრაციაში წასვლა გამოიწვია. მათ ხშირად ეტყობოდათ, რომ განიცდიდნენ დედებისადმი მადლიერების გრძნობას, რადგან მათ შვილებისთვის ბევრი რამ გააკეთეს. ემიგრანტმა ქალებმა აღნიშნეს, რომ ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ საკუთარი ემიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილების მართებულობას, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ემიგრაციის გასამართლებელი ბევრი არგუმენტი აქვთ, შვილების განათლებისა და ოჯახისადმი გაწეული დახმარების ჩათვლით.

ემიგრანტი ქალები ყურადღებას ამახვილებდნენ მიგრაციის იმ შესაძლო უარყოფით გამოვლინებებზეც, რაც შეიძლება მეუღლესთან დიდი ხნით დაშორებამ გამოიწვიოს. ამ მხრივ, შრომითი მიგრაცია პრობლემებს იწვევს. როგორც აღინიშნა, რომ ხშირად ქალთა მიგრაციის გამო ოჯახებიც ინგრევა და ეს ამწვავებს ქალების უმწეო მდგომარეობას უცხო ქვეყანაში.

ძალიან ბევრი ოჯახი ინგრევა ამის გამო, ან უკვე ცუდი ურთიერთობა აქვთ ქმრებთან როცა ჩამოდიან, ან მერე უფუჭდებათ ურთიერთობა. მე რომ ქმარი მყოლოდა, ერთი წუთითაც არ ვიფიქრებდი აქ წამოსვლას, რაც მექნებოდა იმას შევჭამდი ჩემი ქმრის გვერდით. ნორმალურმა კაცმა ცოლი აქ უნდა გამოუშვას, თუ ოჯახს უჭირს კაცი უნდა წავიდეს პირველ რიგში. აქ ოჯახის ქალი არ უნდა იყოს და არ უნდა მიატოვოს ოჯახი, ცოდვაა თვითონაც (ეკატერინე, 42 წლის, იტალია).

ძირითადი მიგნებები

კვლევის პირველ ამოცანას წარმოადგენდა, ქართველი შრომითი მიგრანტი ქალებისგან მიღებული ეკონომიკური სარგებლის განსაზღვრა მათი შვილებისათვის. როგორც აღმოჩნდა, შვილების მიერ მიღებული ეკონომიკური სარგებელი საკმაოდ დიდია, მიუხედავად ემიგრანტი ქალების დაბალანაზღაურებადი სამსახურებისა. ეკონომიკური სარგებლის გავლენა ნათლად აისახება შვილების განათლებაზე, რადგანაც სწავლის პროცესში, როგორც სკოლაში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდში, შვილები უზრუნველყოფილნი იყვნენ განათლებასთან დაკავშირებული ფინანსური საჭიროებებით, სწავლის გადასახადით და სახარჯო ფულით. დედების მიგრაციამ მათ შეუქმნა მატერიალურად უზრუნველყოფილი გარემო იმისთვის, რომ შვილებს შესძლებოდათ სწავლის პროცესზე კონცენტრირება სხვა საზრუნავების გარეშე. რესპონდენტების დიდი ნაწილი ემიგრანტი დედების დახმარებით აგრძელებს განათლების მიღებას უფრო მაღალ საფეხურებზე. ამასთანავე, ეკონომიკური სარგებელი შვილების ჯანმრთელობის მდგომარეობაზეცაისახება და ამ მხრივ არსებული პრობლემების შემთხვევაში, შვილების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა ნამდვილად პრიორიტეტულია ემიგრანტი ქალებისთვის. შვილებმა ემიგრანტი დედებისგან ეკონომიკური სარგებელი მიიღეს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მხრივაც, რადგან ემიგრანტი ქალების ფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ საცხოვრებლისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისკენაა მიმართული. გარდა ეკონომიკური

სარგებლის ამ ძირითადი მიმართულებებისა, შვილები დედებისგან იღებენ მათ მიერ მოთხოვნილ ნებისმიერ ნივთსა და სხვადასხვა სახის ფინანსურ დახმარებას, დედების შემოსავლისა და შესაძლებლობების ფარგლებში, რაც დადებითად აისახება შვილების პრესტიჟზე.

გარდა იმისა, რომ მიგრანტი ქალების მიერ შვილებისადმი გაწეულ ეკონომიკურ დახმარებას დადებითი შედეგები აქვს, იგი გარკვეულ რისკებსაც გულისხმობს. კერძოდ, შრომისუნარიანი ახალგაზრდების ფინანსურ დამოკიდებულებას ემიგრანტ დედაზე და ამგვარად, მათი უმუშევრობის მაღალ შესაძლებლობას. ამას განაპირობებს შვილების მხრიდან იმის გაცნობიერება, რომ ემიგრანტი დედა მუდმივად დაეხმარება მათ ფინანსურად, გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროსაც და მსგავსი იმედი შეიძლება მათი შრომის ბაზარს მიღმა დარჩენის საფუძველიც გახდეს. რესპონდენტები, რომლებმაც სწავლა დაასრულეს, მაგრამ არ იყვნენ დასაქმებულები, აღნიშნავდნენ, რომ ისინი ეძებდნენ მათთვის შესაფერის სამსახურს და დედის დახმარების წყალობით, ისინი არ იყვნენ გამოუვალ მდგომარეობაში, რომ მათ კვალიფიკაციასთან შეუსაბამო სამსახურში ემუშავათ.

კვლევის მეორე ამოცანა გულისხმობდა იმ სოციალური დანაკარგების გამოაშკარავებას, რაც ემიგრანტი დედების შვილებმასაკუთარ თავზე გამოსცადეს. აღმოჩნდა, რომ ქართველი დედები ცდილობდნენ, „ტრანსნაციონალური დედობის“ სტრატეგიები გამოეყენებინათ და მათ ემიგრაციაში წასვლამდე ჰქონდათ ნაფიქრი გაფართოებული ოჯახის წევრ დედის ჩამნაცვლებელ ქალზე. ბებიებისა და დეიდების მიერ ბავშვების ზრუნვაზე აღებულმა პასუხისმგებლობამ გარკვეულწილად შეუმსუბუქა დედის არყოფნა შვილებს, თუმცა შვილები მაინც განიცდიდნენ დედის არყოფნას.

დისტანციური კომუნიკაციის თვალსაზრისით, ქართველ ემიგრანტ ქალებსა და მათ შვილებს ნაკლებად აქვთ შეზღუდვები. ემიგრანტი დედები ცდილობენ, დისტანციის რაციონალიზაციას ინტერნეტის ხშირი გამოყენებითა და შვილებთან დისტანციური კომუნიკაციის სიხშირით, რათა შვილებთან უშუალო ურთიერთობის დეფიციტის კომპენსირება მოახდინონ. ემიგრანტ დედებს აქვთ შეგრძნება, რომ

კომუნიკაციის სიხშირის გამო, ისინი ინფორმირებულები არიან, მაგრამ მაინც ატყობენ შვილებს გარკვეულ ჩაკეტილობას. შვილებიც აღნიშნავენ, რომ დისტანციური კომუნიკაცია შეზღუდულია, რადგანაც რეალურ ურთიერთობებს და სიახლოვეს ის ვერ ანაცვლებს და თავს მაინც გაუცხოებულებად გრძნობდნენ, როდესაც უფრო მცირეწლოვანები იყვნენ. ასევე აღნიშნავენ, რომ დედასთან არყოფნის პერიოდის ჩანაცვლება რაიმე სარგებლით ან მისი კომპენსირება შეუძლებელია, თუმცა, მრავალწლიანი ადაპტაციის შედეგად, მათ უკვე აღარ აწუხებთ დედაშვილურ ურთიერთობაში გაჩენილი დისტანცია.

შვილები დედების ემიგრაციას არ აბრალებენ, მაგრამ უკავშირებენ იმ ფაქტს, რომ ოჯახის სხვა წევრებთან ურთიერთობები შეეცვალათ. ისინი ხშირად იჩენდნენ მშობლის მსგავს დამოკიდებულებას უმცროსი დედმამიშვილების შემთხვევაში. გამომდინარე იქიდან, რომ დედის ემიგრაციის შემდეგ ოჯახის წევრებს დაეკისრათ ახალი პასუხისმგებლობები, ხშირ შემთხვევაში ეს გახდა დედმამიშვილებს შორისა და შვილებსა და მამებს შორის კონფლიქტების მაპროვოცირებელი.

ემიგრანტი დედების შვილებისთვის საზოგადოებაში თავიანთი სტატუსი გახდა ტვირთი, სტიგმა, რომელმაც გამოიწვია მათი დაძაბულობა და გარკვეული დანაშაულის გრძნობა.

აუცილებელია ითქვას ისიც, რომ მსგავსმა სოციალურმა დანაკარგებმა დადებითი გავლენაც იქონიეს ემიგრანტი ქალების შვილების პიროვნულ განვითარებაზე, რადგანაც, მათი თქმით, ისინი გახდნენ უფრო დამოუკიდებელნი გადაწყვეტილების მიღებაში, უფრო ძლიერები ოჯახური პრობლემების მიმართ, უფრო მადლიერები და სხვების შრომის სათანადოდ დამფასებელი პიროვნებები.

კვლევის მესამე ამოცანა იყო მიგრაციის ფემინიზაციისადმი არსებული დამოკიდებულებების შესწავლა ემიგრანტ დედებსა და მათ შვილებში. ემიგრანტი ქალების შემთხვევაში, ის მდგომარეობა, რომელშიც მათ მოუხდათ ყოფნა, ბევრ უარყოფით მახასიათებელთან ასოცირდება. მათ მოუწიათ ძალიან ბევრი პრობლემის გადალახვა იმ დღიდან, რაც საქართველო დატოვეს. მიმღებ ქვეყანაში ჩასვლაც კი არ ყოფილა მათთვის მარტივი. ისინი შეეჩვივნენ ბევრ რამეს უცხო ქვეყანაში,

გადაიტანეს დამცირებები და მძიმე სამუშაო პირობებში უწევთ დღემდე ყოფნა, ამიტომაც მათთვის ქალთა შრომითი მიგრაცია მტკივნეულ გამოცდილებასთან ასოცირდება. მიგრაციასთან დაკავშირებულ დადებით ფაქტად ისინი ფინანსურ დამოუკიდებლობას და ოჯახისათვის დახმარების შესაძლებლობას მიიჩნევენ. მათთვის ემიგრანტობის განმავლობაში კმაყოფილების განმაპირობელი მხოლოდ ის იყო, რომ დახმარების გაწევა შეძლეს შვილების, ოჯახისა და ახლობლებისადმი.

შვილების გადმოსახედიდანაც, მიგრაციის ფემინიზაცია არ არის დადებითი მოვლენა. თუმცა, ინტერვიუების განმავლობაში ისინი იზიარებდნენ დედების ნარატივს მიგრაციასთან დაკავშირებით და ცდილობდნენ, არა პირადი, არამედ ოჯახის ინტერესების გათვალისწინებით შეეფასებინათ საკუთარი დედების ემიგრანტობა. ისინი საკუთარ საჭიროებებზე მეტად, ხაზს უსვამდნენ ოჯახურ პრობლემებს, ოჯახურ საჭიროებებს და გამოუვალ ეკონომიკურ მდგომარეობას. დედების მიგრაციაზე დადებითი აზრის დაფიქსირებისას, შვილები, ასევე, ხაზს უსვამდნენ დედის მდგომარეობას და რეალიზაციას, მიიჩნევდნენ, რომ ემიგრანტმა ქალებმა საკუთარი თავის უკეთ რეალიზება მოახერხეს ემიგრაციაში ყოფნისას, ამაში იგულისხმება არა პროფესიული რეალიზაცია, არამედ ფინანსური და მატერიალური, რადგანაც ემიგრაციაში ყოფნისას ქალებს უნაზღაურდებათ ისეთი ხასიათის საოჯახო შრომა, რაც საქართველოში ყოფნისას უხილავია.

დასკვნა

ქალთა შრომითი მიგრაცია განპირობებულია განვითარებული ქვეყნების შრომით ბაზრებზე ქალთა შინ შრომისადმი გაზრდილი მოთხოვნითა და განვითარებად ქვეყნებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით. ზოგადად, შრომითი მიგრაცია დაკავშირებულია უამრავ პრობლემასთან და მიგრაციასთან დაკავშირებული გენდერული განსხვავებების შესწავლა უფრო სპეციფიურ პრობლემებს წარმოაჩენს, გამომდინარე საზოგადოებაში ქალის სოციალური როლის აღქმიდან. ქალის სოციალური როლის ოჯახთან და შვილებთან მჭიდრო კავშირის გამო, ქალთა მიგრაცია განსხვავებულ პრობლემებს წარმოქმნის მათი შვილებისთვისაც. საქართველოში არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო ქალთა მიგრაციას იმიტომ, რომ მათთვის შედარებით მარტივი აღმოჩნდა ქალთა ტრადიციული კვალიფიკაციის - საოჯახო შრომის,საერთაშორისო შრომით ბაზარზე გატანა და ამ გზით ოჯახების რჩენა.

რასაკვირველია, შრომითი მიგრაციის მთავარი მიზანი ეკონომიკური სარგებლის მიღებაა. კვლევიდანაც ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოში დარჩენილი ოჯახებისა და შვილებისათვის ემიგრანტი ქალების მიერ გაწეული ფინანსური დახმარება. დროთა განმავლობაში, სულ უფრო მეტი ქართველი ქალისთვის ხდება შრომითი მიგრაცია ოჯახის რჩენის რეალური ალტერნატივა მაშინ, როდესაც ადგილობრივი შრომითი ბაზარი ვერ უზრუნველყოფს საკმარის შემოსავლებს დასაქმებულებისთვის. ემიგრანტი ქალების რთული გამოცდილების მიუხედავად, შრომითი მიგრაცია აპრობირებული მეთოდი გახდაუკეთესი მომავლის შესაქმნელად.

მსგავსი მდგომარეობის გამო, დედებისგან შორს დარჩენილ შვილებს უწევთ, გაჩენილ დისტანციას და იმ სოციალურ დანაკარგებს შეეგუონ, რასაც მიგრაციის ფემინიზაცია იწვევს. ისინი ცდილობენ, დამოუკიდებლად გაართვან თავი უდედობით გამოწვეულ პრობლემებს და მათთვის მთავარია დედების ემიგრაციაში წასვლის მიზანი შესრულდეს. შვილები და დედები ცდილობენ, ტრანსნაციონალური

ოჯახების ცხოვრების ტემპს აყვნენდა დისტანციური კომუნიკაციით აინაზღაურონ გაჩენილი დანაკლისები.

კვლევის მიზანი იყო, გაგვეგო შრომითი მიგრაციის ფემინიზაციის გავლენა საქართველოში მყოფ შვილებზე. როგორც ჩანს, ქართველი ემიგრანტი დედების შვილები განიცდიან დედასთან დაშორებას, თუმცა დედების მიერ მათთვის გაწეული დახმარება საკმაოდ დიდი მნიშვნელობისაა. საკუთარი ხედვების გამოხატვისას, შვილები არ გამოხატავენ კმაყოფილებას დედის ემიგრაციის გამო, თუმცა, დადებითად აფასებდნენ ემიგრაციით მიღებულ შედეგებს. აცნობიერებენ დედის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზეზებს და უმეტეს შემთხვევაში, ისინი ცდილობენ, დამოუკიდებლად გაართვან თავი დედის არყოფნით გამოწვეულ სირთულეებს, ოჯახის სხვა წევრებსაც შეუწყონ და დიდი დანაკარგის მიუხედავად, მიიღონ შრომითი მიგრაციის ფემინიზაციის მიერ შემოთავაზებული გამოწვევები.

ბიბლიოგრაფია

1. დიაკონიძე, ა. (2018). *ქართული სამუშაო ძალის ევროკავშირის ქვეყნებში ცირკულარული მიგრაციის პოტენციალის კვლევა*
2. კაზმიერკევიჩი, პ. (2013). *საქართველოსა და ევროკავშირს შორის ცირკულარული მიგრაციის სქემების განვითარების შესაძლებლობა.* ვარშავის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
3. სტატისტიკისეროვნულისამსახური (საქსტატი), მოსახლეობის 2014 წლისსაყოველთაოაღწერისძირითადიშედეგები, 28.04.2016
4. Cebotari,V., Siegel, M., & Mazzucato,V. (2012). *Migration and child health in Moldova and Georgia.* UNICEF Office of Research-Innocenti, Piazza SS. Annunziata, Florence, Italy. Maastricht Graduate School of Governance, Maastricht University, Maastricht, The Netherlands.
5. Chumburidze, M., Ghvianadze, N., Gvazava, S., Honser, R., Wagner, V., Zurabishvili, T. (2015).
   The State of Migration in Georgia.
   Vienna, MD: International Centre for Migration Policy Development
6. Contreras, R., & Griffith, D. (2012) *Managing Migration, Managing Motherhood: The Moral Economy of Gendered Migration*.International Organization for Migration (IOM).
7. Curran, S. R.,&Saguy, A. C. (2001). *Migration and Cultural Change: A Role for Gender and Social Networks?*.Journal of International Women's Studies, 2(3), 54-77.
8. Edel, A., & Bouju, A. (eds.). (2018). *Similar but Different, Inclusion and Exclusion of Immigrant Communities Sharing Similar Cultural Backgrounds with Their Host Societies.* The network of Europe's leading demographic research centres.
9. Fleury, A. (2016). *Understanding Women and Migration: A Literature Review* . Global Knowledge Partnership on Migration and Development (KNOMAD).
10. Massey, D.S., Arango, J., Hugo, G., Kouaouci, A., Pellegrino, A., and Taylor, J.E. (2008). *Worlds in Motion: Understanding International Migration at the End of the Millenium*. International Studies in Demography, Oxford University Press, Oxford.
11. Mazzucato, V.,& Schans, D. (2011). *Transnational Families and the Well-Being of Children: Conceptual and Methodological Challenges.* Journal of marriage and the family, 73(4), 704–712.
12. Mazzucato ,V.,Cebotari,V., Veale, A., White, A., Grassi, M., and Vivet, J. (2015). International parental migration and the psychological well-being of children in Ghana, Nigeria, and Angola. Social Science & Medicine. Elsevier
13. Nolte, H.H., Boatca, M., & Komlosy, A. (eds.). (2016). *Hierarchical positioning of postcolonial and postsocialist migrants.* WORLDREGIONS, MIGRATIONS AND IDENTITIES (Political Economy of the World System Vol.2) = Zur Kritik der Geschichtsschreibung Bd. 13, Muster-Schmidt Verlag Gleichen Zürich.

14. Olwig K,F., *A respectable livelihood: Mobility and identity in a Caribbean family*. In: Sorenson N,N. & Olwig K,F. (eds.) *Work and migration: Life and livelihoods in a globalizing world. New York: Routledge; 2002. pp. 85–105*
15. OECD/CRRC-Georgia (2017), *Interrelations between Public Policies, Migration and Development in Georgia*, OECD Development Pathways, OECD Publishing, Paris. http://dx.doi.org/10.1787/9789264272217-en
16. Parreñas, R.S. (2001). *Mothering from a Distance: Emotions, Gender, and Intergenerational Relations in Filipino Transnational Families*. Feminist Studies, Vol. 27, No. 2, pp. 361-390
17. Schmalzbauer, L. (2004). *Searching for Wages and Mothering from Afar: The Case of Honduran Transnational Families.* Journal of Marriage and Family
18. State Comission on Migration Issues. Migration Profile of Georgia. (2015). Tbilisi, Georgia.
19. *Women on the move: migration, care work and health.* Geneva: World Health Organization; (2017). Licence: CC BY-NC-SA 3.0 IGO.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Sciences

Tamar Kalichava

The Impact of Women's Labor Migration on Children Left in Georgia

MA program of Sociology

The work is carried out to obtain Master's degree in Sociology

Supervisor:

Lia Tsuladze , TSU, Accociated professor

TSU, Tbilisi

2019